

F51
1904

Ե Ռ Յ Յ Յ Յ Ռ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԳՈՐԾՅՈՒՆ




1904 Վ.

უტურნალ „ჯეჯილისა“

I	შეხეთ ერთი ამ ეშმაკა! სურათი	3
II	ორი კნუტი ლექსი—შ. მღვიმეჯისა	4
III	ორი თავი—ტასოსი	7
IV	უსინათლო და თვალხილული (იგაფი)—აფ. შინანაშვი- ჯისა	9
V	შენ პატარა ხარ და მე დიდი (ფრანგულიდან)—ან. წკ—სა.	11
VI	სხვისი ბედი (კორეული ზღაპარი)—ს. ტიტეშვიჯისა	13
VII	ბელურა (ბრემიდან)—ან. წკრეთჯისა	18
VIII	ია-ვარდის ფასი ორივე თვალია (ხალხური ზღაპარი)—ან. მანისა	23
IX	სახუმარო გასართობი და რებუსი	31
X	** ლექსი—ფ. თამაშვიჯისა	33
XI	სიავისთვის სიკეთე უგო—ეკ. გაბაშვიჯისა	35
XII	კორეია—ან. მანისა	41
XIII	მეფე თაღლით-ფულასარ (ასურული ზღაპარი)—აფ. სა- ჩავიშვიჯისა	47
XIV	აქტეონი (ოვიდიუსი)—აფ. ყუმისთავეჯისა	57
XV	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა—სან—ინისა	62
XVI	წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, ზმა, უჯრების ამო- ცანა, შარადა და სხვა	70



ვისაც წლიური ფასი სრულიად არა აქვს შემოტანილი
ვთხოვთ დახეხარონ გამოგზავნა.




ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ჟ უ რ ნ ა ლ ი

იზარდუ, მწვანე ჭვავილო,
დაბურდი, გასდი უანო!..
ი. დ.

F-149



თ ბ ი ლ ი ს ი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Ноября 1904 г.



შენეთ ერთი იმ ეშმაკსა, სად ასუღლა, სად ამძვრაღლა!



ოკი კნუტი.



ონადირე დედა კატას
 გამოცდილს და დაგეშილსა
 ერთი აბეზარი თავვი
 არ აძლეგდა ღამით ძილსა.

როცა თვალეზს მინაბავდა
 და მორთავდა ტკბილათ სრუტუნს
 სწორეთ მაშინ ასტეზავდა
 თავუნია მხიბლავ წრუწუნს.

კატას ჯავრი მოსდიოდა
 წყნარ კრუტუნით აბტეზოდა,
 მაგრამ ჭკუა-ნასწავლ თავეთან
 ფისტა რას განდებოდა!

მიაუს ვერ ამუღავნებდა,
 ჩუმად შეიღებს ეძახოდა;

წრუწუნა-კი გულ-საკლავათ
კატას ასე ეძრახოდა:

«შენ კრუტუნებ, მე ვწრუწუნებ,
ვითომ გვძინავს ვსუჭავთ თვალებს,
შენა სცდილობ, მე-კი ვფთხილობ
ტყვეთ არ მოვხვდე მაგ შენ ბჭყალებს».

კატა რაკი ვერას გახდა,
გააღვიძა ორი კნუტი
და ტუბანა: იმ მაიმუნს
აუკრძალეთ კნატა-კნუტი.

ისეთი დღე დააყენეთ
წრუწუნს ველარ ბედავდესო,
საცა მიდგებ-მოდგებოდეს
თქვენი შიში ბნედავდესო.

წამოცვივდნენ ფისუნები
შმაგ თვალების ბრიალითა
და მიმართეს თავგის ბინას
პწკალ-კბილების წრიალითა.

მაგრამ ფრთხილს და ყურ-ცქციტინას
ძირს რომ თვალი ვერ მოავლეს,
კუდი ვაბზიკ-გამობზიკეს
და სიმწარით დაიკნავლეს:

— შეხეთ ერთი იმ ეშმაკსა
სად ასულა, სად ამძვრალა,

ჩვენ-კი დედამ დაფეთებია
 ფენზედ ტყვილად წამოგვლახლა.

ნეტავი ან რას გვიშლიდა,
 დედა რისთვის ავდებოდა,
 თავისთვის რომ ეჩუჩუნა
 ამით რამე შავდებოდა?!

— არა, უთხრა მეორემა,
 როცა თავვი წრუწუნებდა,
 დედას გული მოსდიოდა,
 თავგვურ წრუწუნს უწუნებდა.

ამ მიზანით მიგვისია,
 მაგრამ ახლა რას შევყურებთ;
 ის მაღლა ზის, ჩვენ-კი დაბლა
 ბრჭყალებს ტყვილათ ვაფხაკურებთ.

შ. მღვიმელი.



ორი თავი.



ინდერის თავის ქალაქიდან ეწვია ერთი თავმომწონე თავი.

მინდერის თავი გაუმასპინძლდა სტუმარს ხორბლით, სხვა-და-სხვა

მარცვლეულობით.

თავმომწონე თავი გამოძღა და უთხრა მასპინძელს:

— იმიტომა ხარ გამხდარი, რომ ასე ღარიბათ ცხოვრობ. მეწვიე, ნახავ მე რა ცხოვრება მაქვსო.



მინდვრის თავგი მართლა მალე ესტუმრა თავ-
 მომწონე თავგს. ორივემ ლამეს უცადეს იატაკ ქვეშ.
 სახლის პატრონებმა ივანშემეს, წავიდ - წამოვადენ.
 თავგმა სოროდან გამოიყვანა თავისი სტუმარი, შეიყ-
 ვანა სასადილო ოთახში და ორივენი აბრძანდენ მა-
 გიდაზე. მინდვრის თავგი გაოცებით შესცქეროდა, რა
 გინდა სულო და გულო რომ იმ სუფრაზე არ იყო!

— მართალი ყოფილხარ, ჩვენი ცხოვრება საძაგ-
 ლობაა. მეც გადმოვალ ქალაქში საცხოვრებლათ

ჯერ არ დაესრულებინა ლაპარაკი მინდვრის თავგს,
 რომ მაგიდა შეინძრა, კარი გააღო კაცმა და შემოვი-
 და სანთლით თავგების დასაჭერათ.

— არა, ჩემო მეგობარო, უთხრა მინდვრის თავგ-
 მა, — მინდორში ცხოვრება სჯობია. მართალია ტკბი-
 ლეყოფილობა არა მაქვს, მაგრამ არც ზრატურის შიში მა-
 წუხებსო.

ტასო.

(თარგმანი)



უსინათლო და თვალსილუღი.

ი გ ა ვ ი.



ზის ჰირას ორმო იყო. ორმოსთან იჯდა ერთი ბრმა, რომელიც გულსაკლავათ ტიროდა და გაიძახოდა:

— ვინა ხარო ქრისტიანი, მოდიო, მიშველეთ: ამხანაგი ორმოში ჩამივარდა, ფეხი მოიტეხა და ვედარ ამოსულაო!

გამვლენი ამ სმასე ბრმასთან მივიდენ და საუვედურის კილოთი უთხრეს:

— გვიკვირს, შენც თან არ ჩაჭყოლიხარ: ორი ბრმა რომ ამ შორ გხას გასდგომიხარო, რატომ მეტი უბედურება არ შეგმთხვევიათო?

— კიდევ ეგ არის, რომ უსინათლო მარტო მე ვარ; ის-კი თვალსილუღიაო, — მიუგო ბრმა.

— როგორ, — გაიოცეს გამვლელთ, — როგორ მოხდა, რომ შენ, ბრმა მშვიდობით გადარჩი და თვალსილუღი-კი ჩაიჩესაო?


— მე, როგორც ბრმა, მოკდიოდი წუნარათ, დაკვირვებით, სიფრთხილით: ჯერ ჯონით ვიკვლევდი სავლელს, შემდეგ ნაბიჯსა ვდგამდი. ჩემი ამხანაგი-კი თავ-აღებული, დაუდევრათ მოაღლაჯუნებდა; ორმო ვერ შენიშნა და შიგ ჩავარდაო.

გამვლელნი გაეშურენ ორმოსკენ. ხეები ჩააუედეს, კიბე გამართეს და ფენ-მოტენილი მკსავრი ამოიფხანეს.

— ჩემო ძმაო, — უთხრა ერთმა მშველელთაგანმა, — შენც რომ სიფრთხილით მოქცეულიყავ, ასეთი უბედურება ხომ თავიდან აგკდებოდაო.

— ეჰ! — ამოოხვრით მიუგო ფენ-მოტენილმა, — ვხედავ — სიფრთხილე იაფათ არავის დასჯდომია: ჩემ ამხანაგს იგი სიბრძავით შეუძენია და მეც, რაკი ცალ-ფენა დავრჩი, მეტი რა გზა მახეს, ამას იქით მეორეს მანისც არ ვაფუფრთ-სილდეო.

აღ. მირიანაშვილი.



შენ ჰატარა ხარ და მე დიდი.



რთ საღამოს ჰატარა მოღურჯო მწე-
რი გაება ობობას ქსელში, ქსელი
კაბმული იყო სის ორ ტოტს შუა.

ობობა მივარდა მწერს გადასაყ-
ლანათ. საბრალო მწერი მუდარებით
ქვეწებოდა: «მოილე მოწყალება, შე-
მიბრალე, დამაცადე ცოტა მანც ვი-
ცოცსლოო».

— არა, მიუგო ობობამ, რაკი
ჩაგიგდე ხელში არ გაგიშვებ, შენ ჰა-
ტარა ხარ და მე დიდიო.

ის იყო ობობა ათავებდა თავის საუხმეს, რომ ღამურს
მივარდა ობობას და უნდა გადაეყლანა.

«შემიბრალე, შეჭყვირა ობობამ, ეს არი ახლა გავაბი
ახალი ქსელი, დამაცადე დავტებე ჩემი ნაშრომის ცქერიითო».

— არა, მიუგო ღამურამ — რაკი ჩაგიგდე ხელში არ გა-
გიშვებ, შენ ჰატარა ხარ და მე დიდი! და ერთი გადაულა-
ნით მოუღო ბოლო.

ამ დროს ჭოტი მოფრინავდა და რომ დაინახა ღამურს
მივარდა შესაჭმელათ. — «შემიბრალე, მე ჯერ სულ ახალ-

განდა ვარ! რა დამიძავებია შენთვის? დამაცა სიცოცხლე შევედრე დამურა».

— ნურას უკაცრავოთ! მე შენ ჩამივარდი ხელში და არ გაცოცხლებ. შენ ჰატარა ხარ და მე დიდი! და ჭოტმა ერთი უღანით გაასაღა დამურა.

მაგრამ ჭოტი გასცილდა თუ არა იმ ადგილს უცბათ ჩავარდა ერთ ბადეში, რომელიც გამოეცანათ გასაძრობათ. ფრინველს თავის დასწევა უნდოდა ბადიდან, მაგრამ უფრო გაება. ისე რომ მეორე დღეს, როდესაც ბადის ჰატრონი მივიდა ახლოს, ნახა რომ საცოდავ ფრინველს, ბევრი ცდით რომ თავი დაეხწია, ფეხები სულ დამტვროდა.

მზისაგან შეწუსებული და ფეხის ხმაზე შეძინებული ფრინველი დაიბნოდა, ცოცხალ-მკვდარი ეგდო. ბადის ჰატრონმა გამოიხსნა გაჭირებიდან, მოხანა ფეხები და ფრთები და უთხრა: საბოლოო ფრინველო, ნუ გეძინიან, მე შენ არაფერს დაგიძავებ. ჭოტმა თვალები ცოტათი ახსილა და წაიბუტბუტა:

— «მართალს ამბობ, არას დამიძავებ? მე სომ ჰატარა ვარ და შენ-კი დიდი!»

— სწორეთ მაგის გულისთვის არ განლებ ხელს: შენ სუსტი და უღონო ჰატარა ხარ. მე-კი ღონიერი და დიდი ვარ და არ ვისარგებლებ ამითი.

ამ კაცმა ის ერთ ძველ ნანგრევ კედელში შესვა და უთხრა: დაჩი მანდ საღამომდის, მზე არ შეკაწუსებს. ბინდამდის სულ კარგათ შეიქნები, შევიძლიან გაფრინდე და დასტკბე სიცოცხლითო.

(ფრანგულიდან)



სსკისი ბედი.

(კორეიული ზღაპარი)

ვეენათ სსსოვრებდა ერთი საწეალი მეთევსე, რომელიც მეტის-მეტათ ღარიბათ და გაჭირვებით ატარებდა სიცოცხლეს. თუმცა განუწყვეტლივ მუშაობდა, მაგრამ ხელი არ ეძარებოდა — სხვები რომ ბადეს ესროდენ, სულ დიდრონი თევზით სავსეს გამოათრევდენ; ამ საწეალი მეთევსის ბადეს-კი სულ ყოველთვის ცოტა თევზი მოსდევდა, ისიც უბრალო ჭიჭუნა და ღვატა.

ერთს დროს წელის პირს დასასვენებლათ რომ დაჯდა, საწეალმა მეთევსემ დაიწყო ჩივილი:

— რათა ვარ ამისთანა ბედისა?.. ციურ ძალებს იქნებო დავავიწყდი?!.. ახ, ნეტავი ერთი ზეცის მფლობელი უძალესი «აკონძანტე» (ღმერთი) მახვენა, რომ ერთი დაკითხვობდი: რატომ მე-კი არ ძაძლევეს ბედნიერებას?!

კაციკეს მისი ფიქრები ციურმა ძალებმა და სწრაფათ ჩვენი მეთევსე ააფრინეს ცაში, დიდ «ოკონძანტეს» ძვირფასათ მორთულ სასასლემი.

— რამ მოგიყვანა ჩემთან? ჰკითხა «ოკონძანტემ» და უპატიუბელ სტუძარს.

მეთევსემ უპატიო თავისი მწუხარების მიზეზი და ბოლოს მოახსენა:

— მე შენ შეწუხებას როგორ გავხედავდი, თვალ-უწვდენელ ცის ძოვლობელო, მაგრამ შენმა ფრთოსანმა მსახურებმა თავის თავათ მომაფრინეს. რაკი მოვედი და შენმა ბრწუინვალე თვალებმა დამინახეს, გვედრები—მოძემძარე! დიდ გაჭირვებაში ვარ! დღე და ღამ ვმუშაობ და დასვენება-კი არც ერთს წამს არა მქვს! შრომამ და გაჭირვებამ დამღალა, მეფეო! მიშველე, შემბრალე!..

— რა გსურს ახლა?

— გამომიცვალე, მოწუალეო, ბედი!.. რამდენი ვინძეა, რომ სრულებით არა მუშაობს და ბედნიერათ ფუფუნებაში სცხოვრობს!.. გასცვალე ჩემი ბედი იმათ ბედში, უფალო!.. ახლა იმათ იშრომონ და მე დავისვენო...

— მე ვერ ძალ-მიძს შენი თხოვნის ასრულება. უპასუხა «ოკონძანტემ». — ეველას თავ-თავისი ბედი ექვს და ნიშნული და ეველა ეს ჩაწერილია ბედის წიგნში ქვეყნის გაჩენის წინეთ.

მეტათ შეწუხდა უბედური მეთევსე; მდუღარე ცრემლები

გადმოსცვივდა თვალთგან. ისეთი სჯოდავით იხვეწებოდა და ისეთი საბრლო შესახედავი იყო, რომ მოლბა გული ძლიერის ოკონმანტესი და ბრძანა:

— კარგი, მე გიძველი შენ!.. ეველა ერთათ არ მოდის თავისი ბედის წასაღებათ და შენ ერთ-ერთს სსვის ბედს მოგცემ, მანამ თავისუფალია. მოითხოვა ოკონმანტემ ბედის წიგნი.

ფრთოსანმა მსახურებმა საჩქაროთ მოართვეს. ჩაიხედა შიგ ოკონმანტემ და უთხრა მეთევსეს:

— აი «საპაგის» ბედი წაიღე. ამ ბედის შეონებელს ეველა ეძლევა: დიდებას და სიმდიდრეს. წაიღე მანამ პატრონი მოითხოვდეს.

აიღო მეთევსემ «საპაგის» ბედი და მოხედავა ვერ მოასწრო, რომ ფრთოსანმა მსახურებმა ისევ დედაძინაზე გადმოაფრინეს. დილით გამოეღვიბა მეთევსეს თავის ქოსში. კარგა ხანს იჯდა დაფიქრებული და შემდეგ წავიდა ერთ მდიდარ მესობლისას. მეთევსე მესობელს ათას ორას მანეთს ესესა. მან დიდის სიამოვნებით მისცა, თუშცა წინეთ ერთ გროშასაც არ ენდობოდა ხოლმე.

დაიწყო მეთევსემ ამ ფულით ვაჭრობა და ისე კარგათ წავიდა მისი საქმე, რომ ჯერ ერთ წელიწადსაც არ გაველო და დიდი მდიდარი კაცი შეიქნა. ქოსის ადგილს მშვენიერი სასახლე გამოსჭიდა და კიდევ მრავალი შენობა გამართა «წინარე განთიადის ქვეყანაში» (ასე ეძახიან

კორეიელები თავიანთ ქვეყანას), კარშემოხვლო მძლავრი გა-
ლაჯანი და ისე დაიწყო ცხოვრება, რომ უკვლა შურით შე-
ჭურებდა.

მაგრამ გული-კი მოუსვენრათ უცემდა. დღე და ღამე
თავის დროებითი ბედნიერებაზე ფიქრობდა. ეჩვენებოდა,
რომ აი მოვა ჩემთვის უცნობი ვიღაც «საპაგი» და წა-
მართებებს უკვლავურსო. და ამ ფიქრებმა ისე მოიცვია, რომ
ძილი გაუფთხა, მადა დაეკარგა და ბოლოს იმ აწრს დაად-
გა, როგორც-კი მოვა «საპაგი» ბედის სათხოვნელათ მა-
შინვე მოკვლამო.

ამ დღიდან სსვისი ბედით გადიდგულებული მეთევსე
თითონაც შეიმოსა იარაღით და მსახურებიც შემოსა, სა-
სახლე ნამდვილ მიუვალ ციხეთ გადახეცია.

ერთ საფსულის დღეს, როდესაც მდიდარმა მეთევსემ
შეჭყარა მსახურნი, რომ მათი შეიარაღება დაეთვალიერები-
ნა, უცებ სახლის ეზოდან ახალ დაბადებული ბავშვის ტირი-
ლი მოისმა.

— ეს რა ამბავია?! იკითხა გაოცებულმა მეთევსემ.

— «საპაგი» ყვირის ბატონო. უპასუხეს თავის დაკვ-
რით მსახურებმა.

«საპაგი» კორეიულათ ნიშნავს ურმის ქვეშ დაბადე-
ბულს. ბატონი მიუხსლოვდა იმ ადგილს და ნახა ურემ
ქვეშ საცოდავათ მოტირალი ბავში, რომელსაც ჩაედო ჰირ-
ში მუჭი და თან ფეხებს აქნევდა, თან ტიროდა. საბრალოდ



დედას ალბათ თავი არა ჰქონდა რჩენისა და მდიდარ მებატონის ესოში ურმის ქვეშ დაეტოვებინა.

ათასმა ფიქრებმა გაუარეს თავში გამდიდრებულ მეთევსეს. დიდხანს უცქირა მოტირალ ჰატარა არსებას და ბოლოს წარმოთქვა:

— აი ვინა ეოფილა, ჩემი საშინელი მტერი!.. შენი გულისთვის იყო, რომ შევიძოსე იარაღით და შევეარე ამოდენა ჯარი? შენი გულისთვის იყო, რომ გადავწყვიტე კაცის ძველი გავმსდარვიყავ? შენ სომ საცოდავი ხარ, უპატრონო, ობოლი და ჰურის ჭამა გინდა ისე, როგორც ეველა. სულდგმულს!

ისე შერცხვა მდიდარს თავისი საქციელისა, რომ თვალებსე სინანულის ცრემლები ღაზა-ღუზით გადმოსცვივდა. დიდის სიუფსილით აიყვანა ხელში უპატრონო ბავში, მიიღრა გულსე და სინარულით წარმოთქვა:

— მე არ დაგჩავრავ, ჰატარავ, ნუ გეძინიან. შენ იქნები ჩემი შვილი და შენი ბედნიერება იქნება ჩემი საკუთარი ბედნიერებაც.

ჩვენმა მეთევსემ იცოცხლა ღრმა მოსუცებამდის. უკანასკნელ სულის ამოსვლამდის მას არ მოძორებია «საძავი» და მასთან ერთათ ბედნიერებაც

ს. ციციშვილი.

(თარგმანი)

1919





ბელურა.

განა იქნება ისეთი უმაწვილი, რომ არ ენახოს ბელურა? ძალა-უნებურათ ეველას თვალებში ეჩსიწება; ცივ და ცხელ ქვეყნებში, სამთარ-საფსულს, სოფელში თუ ქალაქში ეველგან სტუმარია ჩვენი ბელურა! სტუმარი-კი არა, შინაურია. ეველგან ნახავთ. სამთარში ქახის თუ სახლის ეველა ფანჯრებში ისეღება, იქნება ნამცეცები გადმომიუარონო, საფსულში ეანების და ბაღების მოტრფიბლა.

ზატარა, ცქეიტი, ნაცრისფერი ჩიტუნია შესეღულობით არც ისე ლამაზია, მაგრამ ის — ეშმაკურათ თავს შეაუვა-



ბ ე ლ უ რ ა

რებს ეველას, მეტადრე უმაწვილებს. დიდრონებს-კი ჩიტუნია სძირათ თავს აბესრებს.

ბელურებს არ უუვართ ადგილის გამოცვლა და თუ სადმე მოძორებით გაფრინდებიან, დიდხანს გული არ უდგებათ. სოკჯერ დედალ-მამალი ბელურს მიფრინდება უცხო ადგილს, დათვალიერებს არე-მარეს, ეველას კარ-მიდამოს, უფრო უმეტესათ არ მოიწონებს და ისევე ისე დაბრუნდება თავის ძველ ბინასე.

ბელურს გამჭრინასი ჩიტია, იმიტომ უფრო არ ძორდება ჩვენ სახლებს, რომ იცის კარგათ — საცა კაცი ცხოვრობს, იქ უსათუოდ ეოველთვის სასწდოს იძოვის; კაცთან ახლოს მინდვრები და ყანებიც არის სოლმე ბლომათ და სესილის ბალებიც.

ბელურებს უუვართ თავ-მოყრით, მთელი გუნდობით ცხოვრება, ერთად ფრინვა მინდვრებში სასწდოსთვის, მხოლოდ ბუდობის დროს წუვილ-წუილათ დაიყოფებიან.

სამთრისთვის ეს კონიერი ჩიტუნიები იმსადებენ თბილ საწოლს. ბუდეებში რბილათ აკებენ ჩალა-ბულას და სიცვის დროს თავს შეიფარებენ სოლმე. სოკჯერ სამთარში ბელურს ბუსრის საკვამლეშიაც-კი ძვრება, თუძცა იქ საშინლათ გაიკვამლება სოლმე.

ეველას, ვისაც კარგათ შეუსწავლია ბელურას ცხოვრება, გაკვირვებულა, რომ ამისთანა ზატარა ჩიტს, როგორა აქვს

იმოდენა მოხერხება და გონება. ბელურა სწრაფათ მისვდება რა არის იმისთვის სასარგებლო, ან საზიარებელი. რაც უნდა მოწვენილი იყოს ჩვენი ბელურა მისი ზატარა ჭკვიანი თვალები მანც სიფრთხილით გამოიუგრებიან. ჩიტუნია ადვილათ შეატყობს, ვინც მისი მოკეთება და თითონაც ენდობა იმას, მაგრამ მანც ყოველთვის შიშობს. იცის, რომ მას ხეიწს არავინ დააყრის და ყოველთვის ფხიხლათ არის. თუ ვინმემ უცებ ფანჯარა გააღო, ან დაცქერდა მას, ან ჯოხი დაუმიხნა — ბელურა შეშინებული სწრაფათ გაფრინდება.

მართალია ჩიტუნია ვერა სძლებს უაღმაინათ, მაგრამ თავისუფლება ეველაფერს ურჩევნია. ამიტომ გამოცდილებამ და დაკვირვებამ ის ფრთხილი და უნდობელი გახდა. ბელურას ეშმაკურ საქციელზე ბევრი ამბებია ნათქვამი. რომ შეადაროთ სულ ახალგაზსდა ბელურა მოხუცს გამოცდილს — ნახავთ მათ შორის დიდ განსხვავებას. ამიტომაც სძირათ ამბობენ: «მოხუც ბელურასავით გამოცდილი ხარო».

ბელურას შეუზოგარი შესედულობა აქვს, ბოლო ყოველთვის აწეული, სმა უსიამოვნო. ის სიცვივეს კარგათ იტანს, თუ მარცვალი არ გამოელის სასრდოთ. გამრავლება ძალიან ადვილათ იციან. სოკჯერ წელიწადში სამჯერ გამოჩეკენ ბარტყებს. ბუდეებს ეველგან იკეთებენ: დერეფნებში, სასალებში, ნანგრევებში, ხეებზე, ბუჩქებზე და სხვ.. ბელურები

ხან მერცხლებსაც მოსტაცებენ სოლმე ბუდეებს, გაღუერიან ბარტეებს და თითონ მოიკალათებენ შიგ.


ბელურებს ეველა ისე უუერებს, როგორც მავნებელ ფრინველს. მართლაც ის დიდძალ ჰურის მარცვალს სჭამს, ხილს არ გვიყენებს ბაღში და როცა ძალიან გამრავლდებიან სოლმე, მაშინ-კი ბელურებს უწვალთ დევნიან. მაგრამ, ჩვენ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბელურებს სარგებლობაც ბევრი მოაქვთ. რაც ჰურის მარცვლებს და ხესილის ხეებს მავნებელი ჭია-მატლები ესვევა, ბელურები სწრაფათ ანადგურებენ და სჭამენ. ამის შესახებ ერთ მაგალითს მოგიყვანთ აქ: ერთხელ ავსტრიის ხელმწიფე, ფრიდრიხ დიდი, რაღასედაც საშინლათ განრისხდა ბელურებზე და გამოსცა კანონი, რომ ბელურები ეველგან დაეჭირათ და დაეხოცათ. უოველ მოკლეულ ბელურზე დანიშნა ჯილდო. იმ დღიდან ეველა გარბოდა სანადიროთ, ორ-სამ წელიწადში სასინამ გამოიღო დიდძალი ფული ჯილდოს დასარიკებლათ — ქურდ-ბაცაცების კასაწვევბათ, მაგრამ შედეგი სასერიო არ გამოდგა: ხესილის ხეებზე საშინლათ გამრავლდა ჭიები და მატლები ისე, რომ არა თუ ხილი, ხეებს ერთიანად ფოთლებიც ჩამოცვივდა. ეს რომ ნახა ფრიდრიხ დიდმა, მაშინვე გააუქმა თავისი კანონი და მერე იძულებული გახდა სხვაგნინან მოეყვანებინა ბელურები და ხელ-ანლათ გამრავლებინა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბელურებს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე ზარალი.

ბელურა მარდი ჩიტია, ადვილათ არ ჩაუვარდება კაცს
 ხელში და გალიაშიაც იშვიათად ინახავენ, რადგან ჭიკჭი-
 კით არავის ატეობს და სილამაზით თვალს არ ჭრის.

გარდა ჩვენი სოფლის და ქალაქის ბელურებისა არიან
 კიდევ, მინდვრის ბელურები, ჭაობისა, კლდისა, თეთრ-გუ-
 ლა, ოქროსფერი და სხვა.

ან. წერეთლია.

(ბრემიდან)



ინ-ვარდის ფასი ორივე თვალია.

ხალხური ზღაპარი.



რთს კაცს სამი ქალი ჭყავდა. როცა გა-
თხოვების დრო მოუვიდათ, უფროსი და
შუათანა მდიდარ სოფლებს მისცა და
უნცროსი-კი მეფეისს. ეს მეფეისსე დღეში
ოც კონა ფიხსსა სჭრიდა, ათი შინ მო-
ჭქონდა, ათსა ჭქვიდა და ასე ღარიბუ-
ლათ ცხოვრობდა. უფროსმა დებმა მეფეის-
ის ცოლი აითვალწუნეს, აღარ კადრუ-
ლობდენ: არც ჭირში და აღარც ღსინ-

ში, აღარ კითხულობდენ. მეფეისსე იმედით ცხოვრობდა და
თავის ცოლის-დებისგან ათვალწუნებას და უკადრისობას
გულ-გრილად უუურებდა. ცოლი დიდისნის მუცელ-ქმნილი
(ფენ-მძიმეთ) ჭყავდა. ერთს ბნელს ღამეს ქლას მუცელი ასტ-
კივდა და სთხოვა ქმარს ბებია მოძიუვანო. მეფეისსეს მა-
ლიან ემძიმებოდა ბებიასთან წასვლა, ფიქრობდა— ისიც არ
მიკადრებს, არ წამომუყებაო; მაგრამ ბოლოს ცოლმა და-
სძლია და გავსაყნა ბებიასთან. ბებიას არ ეჭაშნიკა ასეთ

ღარბი კაცთან მისვლა, მაგრამ, «რბ ვენა, რომ ჩემი სელო-
 ბა ეს არის, ვერ ვუღალატებო» — იფიქრა და წაჭევა.

აიღო ბებიამ ცეცხლის კერიდან მუგუსალი, მოდის,
 მოიქნევს მუგუსალს, გზას მოანათებს და გაჯავრებული
 ბუსღუნებს, რაკი იმედი არა აქვს, რომ ღარბი იჯახსობა
 დირსეულად დასასჩუქრებს გარჯისთვის. მოვიდა ბებიამ, მე-
 ლოგინე მოამისადა სამშობიაროთ და იმ ღამესვე კიდევ
 მოამშობიარებინა, მეფიჩისის ცოლს ეეოლა ქალი. მშობლებს
 ზირველად ძლიერ ეჯავრათ ქალის გაჩენა, მაგრამ ძალე
 დმერთს მადლობა შესწირეს, «ეეკლაფერი იმის ნებაა, იმან
 გაჩინა, ისვე დაარჩენსო», — სთქვეს და გული ამით დაი-
 შოშმინეს.

ბებიამ ბავშვი გაბანა; მაგრამ ერთი საკვირველება მოხ-
 და: თაბახში წყალი გაიყინა და ოქროთ იქცა. ამ ოქროთი
 ბებიაც კარგა დაჯილდოვს და თავიანთთვისაც ბევრი შეი-
 ნახეს.

ვინც წლით იხდებოდა, ეს ქალი დღით იხდებოდა.
 მშვენიერი სახის ქალი გამოდგა და წლოვანობასთან ერთად
 სიმშვენიერეც თან-და-თან ემატებოდა. როცა გაიცინებდა
 ქალს ზირს-ია-ვარდი ეუინებოდა; თუ იტირებდა, სულ თვალ-
 მარგალიტად სცვიოდა ცრემლები. დედ-მამა მისი ჭკრეფენ
 ამ თვალ-მარგალიტებს; ზოგს ჭყიდიან ზოგს ინახავენ.
 ამნაირად ძლიან გამდიდრდა მეფიჩსე; თავის სელობას თა-
 ვი დაანება, სახლი სულ ოქროსა და ვერცხლის ჯამ-ჭურ-

ჭლით აავსო. ცოლის დებს რო ესმოდათ ეს ამბავი, ძლიერ შურდათ; მაგრამ თან არც სჯეროდათ, რადგან სიძედანსთან მისვლა-მოსვლა აკეთილი ჰქონდათ და სსვაფორივ დაჯერება კიდევ მათთვის შეუძლებელი იყო.

ისე გამდიდრდა მეფისსე, რომ სელმწიფის დაზატყე-ბაც განისრასა. მეფემ არ იუარა ამისი ზატყი და ერთ დღეს ეწვია თავის აძალით. ჩინებული მასწინძლობა გაუწია მეფისსემ სელმწიფეს: ია და ვარდით მორთული ძღვენი ოქ-როს სინსედ მოწუობილი წინ მიარტვა. სელმწიფეს ძლიერ გაკვირდა ასე მდიდრულათ შექული გლეხი კაცის სას-ლი, რომლის კედლებიც სულ ია-ვარდით ჰქვაოდენ. ჰკით-ხა სელმწიფემ მეფისსეს: «სად შოულობ ამისთანა ფერად-ნარინჯ ია-ვარდსა და ან ამოდენა სიძიდრე საიდან შე-იძინეო? მეფისსემ უამბო ეველაფერი, თავისი ქალი წინ წააე-ნა, და სელმწიფემ თავისს ძვალთ ნასა და დარწმუნდა, ქალმა ვაიციანა და ზირს ია-ვარდი მოეფინა. ეს რო ნასა სელმწიფემ ამ ქალის ცოლად შერთვა განისრასა; ნასირ-ვესირებმაც ერთობ ურჩიეს ამ ქალის შერთვა. მეფისსემ ბეჭრი იუარა ქალის მიცემასედ და ეუბნებოდა: «ჩეძი ქალი რა თქვენი საკადრისიაო?» სელმწიფემ უთსრა: «თუ ნებით არ მომცემ შენს ქალს, ძალად წავარტმევო». — «იუოს თქვე-ნი ნება», უპასუსა მეფისსემ.

* * *

მაშინვე მართეს სანატარძლო და ჯვარისწერა იმ და-

მესვე მოახდინეს. ზატარძლისთვის მსლებლად ერთი დედა-
 კაცი მდადეთ გაუოლეს. ამ დედაკაცს ერთი ქალი ჭეხვდა;
 დედაკაცმა ეს ქალი კიდობანში ჩასო და კიდობანიც თან
 წააღებინა.

შუა გზაზედ მეფემ თავის მხურებიანათ ნადირობა მო-
 ინდობა და ქორ-მეძებრებით ერთ დიდ ტყეში შევიდნენ.
 ზატარძალი და მდადე მარტოკა დარჩნენ. ზატარძალს წყალი
 მოსწუურდა და მდადეს სთხოვა მოეტანა. მდადემ უთხრა:
 «წელის დაღევა ერთ თვალათ ღირსო». ქალმა უთხრა
 ოღონდ წყალი მომიტანე და რაც გინდა — მიყავიო, — ამას
 მდადეს სიტყვა ხუმრობა ეგონა. მდადემ მოუტანა წყალი
 და გამოსთხარა ზატარძალს ერთი თვალი.

მეფე ნადირობამ გასხალისა და დაბრუნებას აგვიანებდა.
 ამასობაში ზატარძალს წყალი კიდევ მოსწუურდა. მდადემ და-
 ალევინა და მეორე თვალიც ამოაყვალა. ორივე თვალი
 ხელსახოცში გაახვია და ჩაიღო ჯიბეში. მასუკან ზატარ-
 ძალი ცხენზედ შესვა, წაიყვანა და ისეთ ალაგას ჩააგდო
 ორმოში, რომ ხელმწიფე იმას ვერ მიაგნებდა. მეფე კიდო-
 ბანი ახადა, ამოიყვანა თავისი ჭლექი ქალი, მოართო ზა-
 ტარძლის ტანისამოსით და ისე დასო.

ბევრი ხანი არ გასულა, მოისმა მეფე-მეფართა სმაუ-
 რობა. მდადეს წინანდელი ზატარძლის ია-ვარდი ჭქონდა მოგ-
 როვილი; ხელმწიფის მოახლოვება რო შენიშნა, ეს ია-ვარ-

დი თავისს ქალს სოკი ზირსედ შეაყარა, სოკი კალთაში
ჩაუყარა.

მობრძანდა ხელმწიფეც; უყურებს და თვალს აღარ უჯე-
რებს: «ან ეს ქალი ის არ არის, ან ჩემ თვალებს რადაც
დამართებიაო; მაგრამ აბა რას იქმოდან? მდამდე რა ხელმწი-
ფეს გაკვირება შეამჩნია, ასე მოახსენა: «თქვენ დაგვიანება-
სედ იჯავრებ, თავი ასტკივდა და სასეც იმიტომ შეეცვა-
ლათ». ხელმწიფემ დაუჯერა და იფიქრა: «იქნება ისევე გა-
ლამაზდესო».

* *
*

ხელმწიფემ ჰატარბალი თავისს სასახლეში მიიყ-
ვანა. ეველს გაოცდა, ეველს იწუნებს დედოფალს, მაგრამ
ხელმწიფეს ზირში აბა ვინ რას გაუბედავდა; ეველას მეფის
გარისსებისა ეძინოდა. ხედავს მეფე, რომ მის ცოლს აღარც
ია-ვარდი სცვივია, თითონაც თან-და-თან ხდება და ჩონჩისს
ეკესავსება.

თვალებ-დათსრილი და ხაროში ჩაგდებული ქალი კი
ერთმა მონადირემ იპოვა და იქიდან ამოიყვანა; თან ამოა-
ყოლა, რაც ია ვარდი და თვალ-მარგალიტი იმ ორმოში
დასცვივნოდა. წამოიყვანა მონადირემ ეს ქალი სასლში
და სინარულისაგან ფესსე აღარ იდგა. ქალმა მონა-
დირეს ეველაფერი უამბო, თუ როგორ ამოუღო მდამდე
თვალები, ან როგორ მოხდა ხელმწიფისაგან იმისი შერთვა.

მონადირე-კი ძალავს ქალს: ცდილობს, ხელმწიფის ეურძმდე არ მივიდეს ეს ამბავი, თორემ წამართმევსო,

ერთხელ ქალმა მოაგროვა ია-ვარდი და თვალ-მარგალიტი და მონადირეს გაატანა ხელმწიფის სახლში; მხოლოდ სიტუვა ჩამოართვა, არამცა-და-არამც თითონ ხელმწიფეს არ სჩვენებოდა და მიტანილი საქონელი მიეყიდნა დედოფლის მღაღესათვის. «რაც გინდა დიდი ფასი შემოგამლიოს მღაღემ, — ასე დაარება მონადირე, — არ დასჯერდე და გადაჭრილად უთხარ: ია-და-ვარდის ფასი ორი თვალთა-თქო; თუ მოგცა ადამიანის ორი თვალი, — მიეცი, თუ არა და ნუ მისცემ: იცოდე ჩემითვალეები იმას აქვს შენახულიო.»

წამოვიდა მონადირე, ხელმწიფის დარბაზის წინ ჩამოიარა და იძახის: «ია და ვარდი გასასყიდი, ია და ვარდიო!» გამოვიდა დედოფლის მღაღე და დაუძახა, «აქეთ მოდიო.» მონადირე მივიდა, იმდენი ევაჭრა, იმდენი ევაჭრა, სანამ იმ ორ თვალს დასტეუებდა და გახსარებული დაბრუნდა და მოუტანა თავისს დობილს. მღაღემ-კი შეიტანა ია და ვარდი სახლში, შეაყარა ჰირსე თავისს ქალს და ხელმწიფეს მოახსენა: «აი თუ ია და ვარდი არა სცვია შენ ცოილსაო.» მაგრამ ხელმწიფე ასე ადვილად ვეღარ მოტეუებოდა.

* * *

მონადირემ მოუტანა თავისს დობილს ორივე თვალი.



ქალს, რასაკვირველია, ძლიერ განებრდა; ჩამოართვა, ჩა-
ისხა თავისს ალაგას და შეევედრა ღმერთს, რომ თვალე-
ბი გამთელეობდა. ღმერთმა ქალს ვედრება უსმინა და თვა-
ლები გაუძთელა.

თავისი მხნელი მონადირე ამ ქალმა ისე გაამდიდრა
თვალ-მარგალიტით, ისე გაამდიდრა, რომ ვერც ერთი დი-
დი სოვდაგარი მას ვერ შეედრებოდა. ერთხელ თავისმა
ღობილმა სთხოვა: «ბევრი სიკეთე მომაგონდება შენგან,
სიკვდილს გადამარჩინე, თვალები დამიბრუნე, — მოდი ერთი
თხოვნაც ამისრულე, რაც განდეს — განდეს, სარჩო-საბადე-
ბლით სავსე ხარ, არაფერი გაგიძნელებსა ხელმწიფე დაი
ჰატიყო.» ძალიან ეძძიმა მონადირეს, ძალიან არ ეპიტნავა,
მაგრამ ღობილს ხატრი ვერ გაუტყნა და ხელმწიფე თავის-
თან მოიწვია.

თითონ ქალი აკეთებდა სადილს; ათასწიერი საჭმელი
მოამსადდა; ვერ ასდიოდნენ სუფრასე მიტანას. ხელმწიფეს
ძალიან გაუკვირდა საჭმელების ასეთი სიმრავლე და ნამეტ-
ნავად მათი გემოვნება. დაუძახა მასპინძელს და უთხრა:;
«გამაოცა შენი სუფრის სიუხვემ და საჭმელების სიგემრიე-
ლემ, თუ შენი მსარეული არ მიხვენე, არ შეიძლებაო».

მონადირემ გადასცა ღობილს ხელმწიფის სურვილი, და
იმანაც არ დაიხარა იმის ნების ასრულება: გამოვიდა სამ-
სარეულოდან და წარუდგა წინ ხელმწიფეს. სულ დაბნიდა
ხელმწიფე მისმა სიმშვენიერემ და სიკეკლეუცემ. «რა გსურს,

რომ აგისრულო?» -- ჰკითხა ქალს გაკვირვებულმა ხელმწიფემ, — შენ დღეს ისეთი სადილი გვაჭამე რომ არ შემიძლიან დირსეულად არ დაგაჯილდოვო?»

— «არაფერი არა მსურსო, — მიუგო მეფეს ქალმა, — იმითიც ბედნიერი ვიქნები თუ ნებას მომცემ, რომ ერთი არაკი მოგასსენო». მეფემ ნება მისცა. ქალმა დაიწყო არაკი: «იყო ერთი ღარიბი მეუღისე, ეეოლა ერთი ქალი, რომელსაც გაცინების დროს ზირსე ია და ვარდი ეფინებოდა, ტირილის დროს ცრემლების მაგივრად თვალ-მარგალიტი სცვიოდანო»... ასე, ამ რიგად თავისი ემბწვილობა და თავ-გადასავალი მეფეს არაკად უძებო. რასაკვირველია, უძებო, თუ როგორ დასთხარა მდებამ თვალეები, როგორ ჩააგდო ორმოში, ვინ დასვა ზატარმლად ნამდვილ ზატარმლის მაგივრად, მერე როგორ დაიბრუნა თვალეები და სხვ.

მეფემ არ იცოდა სინარულისაგან რა ექნა, როცა გაიგო, რომ ნამდვილი მეუღლე დაუბრუნდა. ბევრს გამგონეს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. დამნაშავე მდებამ თავისი ქალით ხელმწიფემ ცხენის კუდსე მოაბმევინა და ნაკუწ-ნაკუწად აქცევინა.





სახუმარო კითხვები.

როგორ უნდა გადაკეთდეს ორაგული, რომ გამოვადეს
ადამიანის აგებულების რომელიმე ნაწილი?

—
რომელი ფესვებიანი ხეა ზევით რომ იზრდება?

—
რათ უგებენ ფრინველებს მახეს?


—
(წაჭმადგენილი თოჯინისა).

რისთვის იყიდა ვაჭარმა ქული?



ვინ არის?

რებუსი



ჰი	ო	ვაზის	ეს	ს	ანხლო
ღე	,	ბოძი	რ	უ	ანუ?



ს	რითიც
,	ეჭამთ

უ	ტუსა-	ს
	ლი	,



* *
*



სისკარმა თქვა: შემომლიმის
მთა და ბარი, ხის ფოთოლი,
მზეზე უმაღ მე ვაშუქებ—
განთიადის წინა-მსრბოლი!..
ჩემს ნაზ სხივებს დილის ცვარი
ფიანდაზათ ქვეშ ეგება,—
თითქო ჩემის შეენებითა
მოხიბლულა თვით განგება!..
ბევრჯელ იყო, როს წალკოტში
მოვაფრქევი სხივთა კონა;
სხვაზე უმაღ ის კოკობ ვარდს
ვაშბორა, დაეკონა!..
მაგრამ ამ დროს, ამ ტკბილ წამში,
ქურდსაეითა, ნელა-ნელა
გადამეკრა ზედ ღრუბელი,
დამჩრდილა და დამაბნელა!..

ვარდმა უთხრა: მსურს რომ ვფშვიდე
ყველასათვის სასურველად,
რომ ნექტარი ჩემი სიოს
გამოჰქონდეს მთა და ველად.
შენს სხივთ—კონას მიეეგებო,
ვით ბუნების უცხო თვალი
და ჩემს მკერდში ვავადვიო
ის ციური ნაპერწკალი...

მაგრამ მეც ვერთი და ვკანკალებ,

რომ დავხედავ ჩემ ქვეშ არეს;
 იქ გველსა ვჭერეც დარაჯათა
 შხამ-კბილა და ენა-მწარეს!..

—
 ბულბულმა თქვა: გულის ძგერა
 საიდუმლო თქვენი ვცანი...
 მეც ისეთ ტკბილ ხმას გამოვცემ—
 ავაყრჯოლო თვითონ ცანი!..
 რომ ავეგზნა, ქება ეუძღვნა
 ქვეყნით ციურ საკურთხეველს,
 გლოვა შვებათ გადაეუქმნა
 ძაძით მოსილს, ცრემლთა მთხეველს..
 საკვირველი ხმის გამგონე
 არე-მარე გაინაბოს
 და მაშერალმა, ტვირთ მიძიმემაც
 შეისვენოს, თვალი ნაბოს...
 ხიდი გავდვა თვით უფსკრულზე,
 მთა და ბარი გავასწორო
 და მაშინ შენც ინეტარე,
 გულ-მამცერო, გულის სწორო!...
 დიად, მაშინ, მაშინ ნახავთ,
 თუ ამ ხმებით მე ვყო რანი...
 მხოლოდ ჯერ-კი მომაშორეთ
 თვალ-ბედითი ის ყორანი!..

—
 ძალამ უთხრა: მე გავფანტავ
 ღრუბელს, მზათ მაქვს შეილდ-ისარი,
 რომ გველს თავი შევეუმუსრო
 და ყორანს-კი გულ-ფიცარი!..

სიავისთვის სიკეთე უგო.



ყალობა „სტალიარი“ დარბაისელი ჭკვიანი კაცი იყო, ამასთან კარგი ხელოსანი და თავის ცოლ-შვილს რიგიანათ აცხოვრებდა. მაგრამ ბოლო ხანებში, რალაც ავთამყოფობამ შეიპყრო, ჯანი გამოუღია და ერთი მცირე გაციების მიზეზით ბოლო მოეღო.

ავთამყოფობა ისეთი საშინელი და მასთან მოკლე იყო, რომ ელისაბედმა, წყალობას ცოლმა, ქმარს გამოკითხვა-კი ვეღარ გაუბედა თავის შეილების მომავალზედ და ამ გამოურკვეველობამ იმის მწუხარებას უფრო ცეცხლი მოუღო.

სიკედლის რამდენიმე საათის წინათ, თითონ ავთამყოფმა ჩამოავდო ამაზედ ლაპარაკი, მაგრამ დამთავრება კი ვერ მოასწრო. ის-კი გარკვევით სთქვა: რომ ყოველი ანგარიში ამხანაგთან, კაკულია ახალ კაცთან, გასწორებული მაქვს და ქარხნის შემოსავლით ის გიგდებთ ყურსაო, თამარას მზითვიც ნაზრუნველიაო და კამოდისკენ ხელი გაიშვირა, კიდევ რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ სისუსტისაგან გულს შემოეყარა და რამდენიმე წუთის შემდეგ სულიც განუტევა.

მწუხარება ისეთი მწვაფი იყო, რომ ელისაბედს პირველ დღეებში ფიქრიდაც არ მოსვლია ქრმის ნანადერძევის შემოწმება. შემდეგ-კი ბევრი ეძება წყალობას ნათქვამი საბუთები, მაგრამ გზა და კვალი ვერ გაიგო. სულ გადააბრუნა კამოდის უჯრები, ძველი სკივრი, კედლებში დატანებული თახჩები, ყოველი სახლის კუთხე, ყველა გამოკრული ნაქერიც-კი გამოხსნა, მაგრამ ვერა იპოვნა რა.

ქერიემა ქრმის ამხანაგს, კაკულია ახალკაცს მიმართა და ქრმის ნაანდერძევის ახსნა სთხოვა და თან ისიც უამბო რომ მთელი სახლი გადმოაბრუნა და ვერსად ვერაფერი იპოვნა.—შენ, ან სხვა ამხანაგებს ხომ არ მოგანდოთ ჩენი მომავალი, ჩემი ობლებს ავი და კარგი? მუდარით ეკითხებოდა ელისაბედი კაკულიას.

კაკულია დიდხანს იყო ჩაფიქრებული, დიდხანს იყო რალაც ყოყმანში, ბოლოს კამოდს ერთი თვალი გადააგლო და თავ ჩალუნულმა ძლივ-ძლივობით წარმოთქვა:—რა ვიცი! რა ანგარიშზედ ულაპარაკნია? მინამ ცოცხალი იყო, ერთად ვმუშაობდით, რასაც ვიღებდით ძმურად ვიყოფდით და რაც შეეგება ქარხნის შემოსავალს, ის ეხლა მარტო მე მეკუთნის და პირ იქით შენ ქმარს, ქარხნის მოსაწყობად აღებული ვალი, ოცდა-ათი თუმანი, ისევე ზედ მარტებსო.

ელისაბედი თავზარ დაცემული დარჩა და მთლად დაჰკარგა იმედი ქრმის დანაპირევის სიმართლეში.

გავიდა შვიდი რვა თვე, შავით და ბნელით მოსილი ელისაბედი მწუხარებით უყურებდა თავის შვილებს და გულს უწუხებდა იმათი უიმედო მამავალი, მაგრამ იმას-კი როგორ წარმოიდგენდა, რომ ახალკაცი, ოცის წლის ნამხანაგარი და მეგობარი ამისი უბედურის მეუღლისა, საჩივარს შეიტანდა და თავისი ძმაკაცის ქერიე-ობოლს დააფორიაქებდა.

მაგრამ კაკულიამ ისარგებლა თავისის ამხანაგის უცების სიკვდილით და როდესაც ნამდვილად დარწმუნდა, რომ აღარაფერი საბუთი ნაანდერძევისა არ აღმოჩნდა, სასამართლოში საჩივარი შეიტანა.

მსაჯულმა რალაც ძველი პირობის ქალღმერთები მიიღო საბუთად და კაკულიას სასარგებლოდ ოცდა-ათი თუმანი თავისის სარგებლით

გადასწყვიტა და აი ხვალ პრისტაეიც უნდა მოსულიყო ქერიე-ოხრის ოჯახის დასარბევად.

ელისაბედი ერთხელ კიდევ შეუდგა ძებნას, მთელი სახლი სულ ააქოთა, ტახტები მისწი-მოსწია, ძველი და ახალიც-კი დაარღვია, საბნის მითლებშიაც-კი გაჩხრიკა თამაროს მზითვით აღთქმული ოქროები, მაგრამ უწინდლებრივ კვალაც ვერ მიიტანა და ხელ-ეხლა თავსა და პირში წაიშინა.

— დედა? ნუ თუ ხვალ სულ ერთიან გაგვიყიდინან, რაც რამ სახლში აფეჯი გებადია? ამოიხერით უთხრა თამარომ ტირილით თვალებ დასიებულ დედას.— ნუ თუ ჩემ კოპწია კამოდსაც წაიღებენ, ჩემ გაპრილებულ სამოვარსაც, ჩვენ ლამაზ ფარდაგ-ხალიჩასაც?!

— სუყველაფერს წაიღებენ, შეილო, სუყველაფერს გაგვიყიდინან, სუყველაფერს! ამოკენესით უპასუხა ელისაბედმა თავის ქალს და ორი დიდი ცრემლი ნელა-ნელა ჩამოუგორდა გაუითრებულ პირი სახეზედ.

— მერე ჩვენ რაღა გვეშეელება, რილათი უნდა ვიცხოვროთ, რაღაზედ უნდა დავიძინოთ, რაღაში უნდა ჩავალაგოთ, რაც-კი რამ გებადია?...— არა არა! მე კამოდს ჩემის ცოცხალის თავით არავის არ დავანებებ! კამოდი ჩემია, საგანგებოდ ჩემთვის გააკეთა მამაჩემმა; გახსოვს რა მითხრა ქარხანიდგან რო ამოიტანეს... ცამეტი წლის თამარო გაწითლდა და მამის ნათქვამი ვერ გაიმეორა.

— „შენი სამზითვოა“ ამოიხერით დაასრულა თამარის აზრი დედამ.— ბევრი რამ გვითხრა, ბევრი რითიმე გვანუგეშა, სიკვდილის მოახლოებების დრო რო იგრძნო მამაშენმა, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ სულ უკუღმა დაატრიალა ჩენი ბედი და იღბალი! აბა ვინ მოიფიქრებდა რომ კაკულია, საუკეთესო ამხანაგი მამაშენისა, პირველი დაარღვედა იმას ანდერძს და პატრონობის მაგივრად დაგვაწიოკებდა და დარბევას დაგვიწყებდა? ხვალ-კი იმის გამოგზავნილი

„პრისტავი“ საჯაროდ გაგვიყიდას რაც რამ გეზადია და თუ მოძრავი ქონება არა აუხდება, ჩვენ მშვენიერი ბახჩასაც თან გააყოლებს!

— ჩვენ რაღა გვეშველება, დედი! ჩვენ რაღა გვეშველება?.. მესამე აძლედა ამ კითხვას გულ-გახეთქილი თამარო დაძმარებულ დედას.

— რა გვეშველებააა!.. რა გვეშველებააა! ნუგეშის მაგივრად ქვითინით ბანს აძლედა ელისაბედი თამარს.

პატარა ოთახი ოდნე განათებული იყო კანდელის ზეთის შუქით, რომელიც კუთხეში ხატის წინ, ახალი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად ბეუტაედა და ორ სასოწარკვეთილ, შავებით მოსილ დედა-შეაღის გულის-საკლავ სურათს ანათებდა.

გარეთ-კი მფეურად ამაყი ბადრი მთვარე გარშემოს ანათებდა და ტკბილი, ნელი, მაისის ნიავი ახლად გაფურჩქნულ ფოთოლთ სასიამოვნოთ აშრიალებდა. სახლის გვერდით მიმდინარე პატარა რუკელად ხტოდა ქვიდგან ქვაზედ და თავისის მუსიკალურს ლუკლუკით ბუნების მშვენიერ სურათს განცხრომის ნანას ეუბნებოდა.

ციცინათელათა გროვა დაუცხრომლად დაფუსფუსებდა ვარდების ბუჩქებშუა და თავისის მკრთალის ნათელის სხივებით იმ ბნელ კუთხეებშიაც ნათელი შეჰქონდა, სადაც მთვარის შუქს ფოთოლთა ჩრდილი არ უშეებდა.

პატარა შაქრო, ელისაბედის უნცროსი შვილი, დედის და დის მწუხარებით ენა-ჩაგდებული კარებზედ იჯდა და ციცინათელებზედ-ღა ერთობოდა: იჭერდა მნათობ მფრინავებს და თავის ნაბდის ქუდში აგროვებდა, სინჯაედა და ჰკვირობდა იმათ მნათობობას და ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ ამითი ციცინათელათ თავისუფლებას უსპობდა, სიცოცხლეს ასალმებდა!

უცებ პატარას რაღაც აზრმა გაუელეა, ის ღიმილით წამოდგა, ფეხს-აკრფით შევიდა სახლში და მტირალს დას, თითქო დასამშვიდებლად, თავის ქუდი, საესე ცოცხალის ბრილიანტებით, მიართვა.

— წადი დამეკარგე! მოუთმენლად შესძახა გულ-გატეხილმა თამარმა და ძმას ქუღზედ ხელი აუკრა.

ციცინათელები მოწყვეტილი ვარსკვლავებივით გაიფანტნენ ბნელ ოთახში და შაქრო, შეურაცხყოფილი თავისის წრფელის საქციელისათვის, ბუზღუნით იმათ დაედევნა ხელ-ახლად დასატყვევებლად.

ერთი ყველაზე მნათობი ციცინათელა კამოდ-ქვეშ შეძერა და იქიდგან ოდნავ გამოკრთოდა იმისი პაწია ფარანი. შაქრო კამოდის წინ ჩაყუნტდა, იმის ქვეითა ყდას დაებოძიძგა, უნდოდა კამოდი განზედ გაეწია და ციცინათელა ხელში ჩაეგდო, მაგრამ კამოდის ყდა ხელში შერჩა, უკუ გადაიქცა და იატაკზედ ბრავგანი მოიღო.

ელისაბედი ხმაურობაზედ ფიქრისგან გამოიჩქვია, საჩქაროთ სანთელი ანთო და საშინლად შეჰკივლა, როდესაც იატაკზედ შაქროს გვერდით ქალღლებით პატარა უჯრა დაინახა.

— ღმერთო მოწყალეო! ქერივის და ობლის იმედო! ნუ თუ შეიბრაღე ჩემი ობლებიც და მამის ნაწევე-ნადაგი არ დაუკარგე?! მადლობა შენდა! და ხელების კანკალით ქალღლებს დაუწყო ჩხრეკა.

ბავშვები გოცებით შინჯავდნენ კამოდის ჩარჩოს, რომელშიაც დიდის ოსტატობით ჩასმული იყო საიდუმლო უჯრა და იგონებდნენ მამის უკანასკნელ მოძრაობას კამოდისკენ მიქცეულს.

„კაკულის ანგარიში“ ჩათვლით, ამოიკითხა ელისაბედმა ერთ ერთ დაკეცილ და წითელის ძაფით შეკრულ ქალღლებზე და ორთავ ხელებით ძვირფასი საბუთი გულზედ მიიკრა, სუნთქვა შეეკრა, თვალთ დაუბნელდა.

— დედა, რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე, ახა გაშალე, წაიკითხე, შიგ რა სწერია? გაფაციცებით შეეკითხა თამარი.

ელისაბედი გონს მოვიდა, ხელი თვალებზედ გადაისვა და ნელა-ნელა მოწიწებით გაშალა „ანგარიშის“ ქალღლდი და კინალამ გადირია, როდესაც შიგ ორი ათ-ათ თუმნიანი დაინახა. ასიგნაციებს შემოკ-

რული ჰქონდა პატარა ეწრო ქალაღი და ზედ მხოლოდ ორი სიტყვა ეწერა. „თამაროს მზითევი“.

ოთანში ისევ გაცეების სიჩუმე ჩამოვარდა. დედაც და შვილებიც მეტის ბედნიერებით მუნჯათ იყენენ ქცეულნი და ძვირფას მემკვიდრეობას შესცქეროდნენ პირდაღებული.

პირველად გონს ისევ თამარო მოვიდა. ათ-თუმნიანები დედას გადაუღო კალთაში და თვით „ანგარიშის“ ქალაღს დაუწყო კითხვა:

„სასტალიარო ქარხანა, ჩემი სიკედლის შემდეგ, თავისის მოწყობილობით, კაკულია ახალ-კაცის ხელში გადაღის, თუ ოცდა ათ თუმანს გაღიხღის უწლოვანის ჩემის შვილის შაქროს აღსაზღვლად და თუ ოცდა-ათის თუმნის გადახღას არ მოინდომებს, ქარხანა შაქროს სრულ წლოვანობამდე კაკულიას ხელში დარჩეს და ბავშვისთვის მხოლოდ თვეში თუმანი გადაიხადოს და იმას მამის ხელობა შეასწავლოს. მერე-კი ქარხანა შაქროს ხელშეუხებელ საკუთრებათ უნდა გადავიღეს“. აქვე ჩამოთელიღი იყო ყოველი იარაღი, რაც-კი ქარხნის საკუთრებას შეადგენდა.

პირობის წერიღს ორთავ ამხანაღის, წყალობასიც და კაკულიასიც ხელი ეწერა და სტალიართა უსტაბაშის ბეჭეღიც ჰქონდა დასმული.

ღლისაბეღი მუხღებზედ დაეცა ხეთის-მშობღის ხატთან და მხურვალე მაღღობა შესწირა თავის გამჩენს. შაქროც და თამაროც გვერღში ამოუღდნენ დედას და სასოებით იმეორებდნენ იმის სიტყვას.

კამოღ ქვეშ შემწყვეღული ციციხათელა ამასობაში დაშოშმინდა, გული გაიმაგრა, გარეთ გამოძვრა, ფრთა-ფრთას შემოკრა, ბენიერ ოჯახს თავს შემოეღო და თითქო ამცნო, რომ საღავისთვინ სიკკეთე უგო და ღია ფანჯრიღგან შეუერთდა ტურფა, ბუნების კალთებზედ თავისუფლად მონაღარღე ძმა-მეგობრებს.



კო რ ე ი ა.



კორეია სახელმწიფოა, უკავია ნახევარ კუნძული აზიის აღმოსავლეთს, იაპონიის და ყვეთელი ზღვების შუა; იგი მანჯურიის მეზობელი ანუ მომიჯნავეა და საზღვრად მას აქვს მხოლოდ მდინარე იალუ ანუ

იალუძიანი.

სიერციით ეს ქვეყანა 90,000 ჩორსო მილს შეიცავს; მკვიდრთა ანუ მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს $5\frac{1}{2}$ მილიონს, თუმცა ზოგნი ორჯერ მეტსაც სთვლიან.

კორეია მთიანი ქვეყანაა; ბევრი მწვერვალი აქ მუდმივ თოვლითაა შემოსილი. დიდი მდინარეებიც ბევრია; მაგრამ რაკი იგინი მეტის სისწრაფით ჩამოდიან მთებიდან, ამიტომ მათზე ნავოსნობა შეუძლებელი ხდება.

კორეია გაყოფილია რვა ნაწილად, ოლქად. რუსეთისთვის უახლოესი ოლქი პიონ-ნიანია, რომელიც ძლიერ ნაყოფიერად ითვლება; აქ, ამ ოლქში, სხვათა შორის, მოდის ბრინჯი და სიმინდი. მკვიდრნი უმთავრესად მისდევენ ხენა-თესვას და საქონლის მოშენებას.

სატანტო, ანუ უმთავრესს ქალაქად ითვლება სეული. მასში 200,000 მცხოვრებია. თუმცა ეს ქალაქი მეფის რეზიდენცია, საცხოვრებელია, მაგრამ სხვა ქალაქებისგან ნაკლებათ განირჩევა: არ მოიპოვება აქ არც დიდებული ტაძრები, არც სხვა ლამაზი შენობები. თითქმის ყველა აქაური სახლები თიხის ტალახით შენდება, მეტად დაბლები, კაცის სიმაღლისანი; ქუჩები უშნო და უსუფთაოა.

მეფის სასახლე იყოფება სეულის ჩრდილო ნაწილში, უკავია

ოთხ-კუთხი ადგილი, გარემო სიერცით ხუთი ვერსტი, ე. ი. თითქმის მეოთხედი ნაწილი მთელის ქალაქისა. სასახლეს ავლია მაღალი გალავანი— $5\frac{1}{2}$ საყენიანი; სისქე აქეს ამ გალავანს 2 საყენი. გალავანს გარედან არტყია საკმაო სიღრმის არხი, სიგანით 8 საყენიანი; მას სამი ალაყაფის ან ჭის-კარი აქეს, რომელთაგან ორი მუდამ ჩაკეტილებია.

კორეის ხალხის თავაია მეფე—მბძანებელი, რომლის ხელშია ქვეშევრდომთა სიკვდილ-სიცოცხლე. მეფე ზეციდან მოვლენილათ ითვლება და ამიტომაც ხალხი მას ღვთიურ პატივსა და დიდებას უძღვნის.

ყოველი მხენელ-მოხვეელი ვალდებულია მეფეს მიაართვას ნაწილი მოსახლისა.

არავის შეუძლიან თუნდა ოდნავ შეეხოს, ხელი ახლოს მეფეს: და ვინც ამას გაბედავს სიკვდილით სჯიან. ვისაც-კი ხელს შეახებს თვითონ მეფე, იგი უბედნიერესს აღამიანათ ითვლება საუკუნოთ და ნიშნათ დიდის პატივისა ეძლევა მას პატარა ჯოხი აბრეშუმის ყაითნებ-ღახეულო, რომელსაც ინახავს, როგორც უძვირფასესს განძს.

წელიწადში სამჯერ მეფის სასახლეში სადარბაზოდ იკრიბებიან წარჩინებულნი კორეელები. მეფის წინაშე წარდგენის დროს, ვიდრე სამეფო ტახტს მიუახლოვდებოდეს, ზამდენსამე ნაბიჯზედ, ყოველი დიდებული შეჩერდება, სამჯერ მუხლს მოიყრის და შუბლით მიწაზედ დაემხოზა.

სასახლიდან მეფის გამოსვლა იშვიათი მოვლენაა და ხდება დიდის ამბითა და ზეიმით. მეფე გამობძანდება ხოლმე დილა—ადრიან. ყველაზედ წინ მაღიან პატარა ორ-თელიანი ეტლები, სანოვაგით დატვირთულნი; მათ შემდეგ ცხენებით დიდებულნი თავიანთ მხლებლებით; შემდეგ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი; მერე კარის-კაცნი მრავალის ამალით; მათ მისდევენ მეზუკენი და მედოლენი. ამათ შემდეგ მიჰყავთ 5 საუცხოვოთ მორთული ცხენი მოქარგულის უნაგირებით; მერე მიაქვთ მეფისთვის გამზადებული ტახტრეწანი, იმ შე-

მთხევრისათვის, თუ იგი ცხენიდან გადმოსვლას ინებებს და დასვენებას ისურვებს. ამას მისდევს ჩინებულათ მორთული ცხენი, ძვირფასის უნაგირით, რომელშიაც გამაგრებულია დიდი აბრეშუმის წითელი ბაირალი. შემდეგ მიაქვთ მეფის უკლებათა ნიშნები და მათ შემდეგ მოდის თვითონ მეფე, თეთრს ცხენზედ მჯდომი, თავის ურიცხვი ამალით. მზის სხივებისაგან დასაცველად მეფის თავზედ უკავიათ უზარმაზარი წითელი სამხეური; და ერთი სასახლის პირთაგანი მეფეს მარაოთი უნიაფებს.

ჯარის-კაცთ, მსახურთ და საზოგადოდ ყველას, ამ დროს უეჭველად წითელი ფერის ტანისამოსი აცვიათ.

მეფის მიმყოფნი გაჭიმულნი არიან 7 ვერსის მანძილზედ და მიდიან ასეთი წესით: წყნარად, დუმილით; მოსაკრავენიც დაბალის ხმიით უკრავენ. ბრძანებას გადასცემენ ბაირალებით, ნიშნებით, თუ ბრძანება სასწრაფოა, მაშინ იგი იწერება პატარა ქალაღზედ, ქალაღს აბამენ ისარს და ამ უკანასკნელს ისერიან დანიშნულებისამებრ.

მეფის იშვიათის გამოხვლით ხალხი ცდილობს ისარგებლოს: ხშირად ამისთანა დროს მას მიართმევენ ხოლმე არზებს, საჩივრებს იმ მოხელეებზე, რომელნიც ხალხს უდიერათ ეპურობიან, უსამართლოთ ექცევიან და მოქრთამეობენ. თუმცა საჩივრის მართმევა ზოგჯერ საშიშიც არის; თუ მოჩივარს უსაფუძვლობა დაუმტკიცდა, სასტიკად სჯიან.

როგორც მეფის სიცოცხლე საესეა ნამეტანის ცერემონიებით, აგრეთვე სიკვდილის შემდეგ მის ცხედარს კაი ხანს არა აქვს მოსვენება: მეფის დასაფლავება შეიძლება არა უადრეს 5 თვისა გარდაცვალების დღიდან. მეფის ცხედარი რომ არ გაიხრწნეს წამლებით აკეთებენ; მაგრამ რადგან ხელის შეხება აკრძალულია, ამიტომ მეფის ტანის აღებ-დაღება, გადაწვე-გადმოწვეა, შეხვევა-დასვენება ხდება უძველად სხვა-და-სხვა იარაღების და ჯოხების შემწეობით, რომლებიც

სხვა დროს ინახება განსაკუთრებულს სკიერში. ამ სკიერს აზის მინიტრისაგან დასმული ბეჭედი.

უმთაერესი ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა ეკუთვნის უზენაესს რჩევას, რომელიც შესდგება სამი პირისაგან. ეს რჩევის სამი წევრი არიან მეფის თანაშემწენი, მრჩეველები და თითქმის მარტო ამათ ხელშია მთელი კორეისი აე-კარგი და ბედ-იღბალი.

რჩევის წევრთა გარდა არიან კიდევ სხვა მოხელენიც, რომელთათვის არსებობს 9 ხარისხი. ჯამაგირი ყოველ მოხელეს ეძლევა იმის მიხედვით, თუ იგი რომელი ხარისხისაა. მხოლოდ ჯამაგირი ფულად არაეის ეძლევა, რიგორადაც არის ჩვენში: იქ ამის სავაგიეროთ წესათ არის ძველადგანვე შემოდებული სარჩო-საბადებლის მიცემა. მაგალითად, პირველ ხარისხის მოხელე წელიწადში იღებს 14 ტომარა უკეთესს გაწმენდილ ბრინჯს, 48 ტომარა — დაურკვეველ ბრინჯს, 10 ტომარა ხორბალს, 23 ტომარა მუხუდოს, 15 თოფს ტილოს, 7 თოფს აბრეშუმეულს და 10 თაბახს საწერ ქალღს გასაოცარია, ნამეტნავათ ეს 10 თაბახი ქალღს! ჩვენში, მგონია, პატარა ბალიც არ დაკმაყოფილდება ამდენი ქალღსით.

ამ ჩვეულებრივ მოხელეთა გარდა კორეიაში მეფეს ახლავს 30 ესრედ წოდებული, საიდუმლო ინსპექტორი, რომელნიც მეფის ბძანებით დაიარებიან მთელს სამეფოში, ყველას უთვალთვალენ, ყურს უგდებენ და ფარულად იგებენ, ვინ რას მოქმედობს და რას ლაპარაკობს. საზოგადოთ კორეიაში ქვეყნის მართვა დაუფძნებულია უნდობლობასა და მუდმივ შიშზე.

რამე თანამდებობის მისაღებათ, საჭიროა სახელმწიფო ეგზამენი დაიჭიროს. ამიტომ ბავშვები ძალიან ადრე იგზავნიებიან სკოლაში; თუმცა აქ სახელმწიფო სასწავლებლები სრულიად არ მოიპოვება: ყველა სკოლები კერძო პირებს ეკუთვნის. სწავლა სწარმოებს ჩინურ ენაზე.

რადგან კორეია სულ უკანასკნელ დრომდე სრულიად მოწყვეტილი იყო სხვა სახელმწიფოებს, არ ჰქონდა მათთან არაერთარი ერ-

თობა, კავშირი და მეზობლობა, ამიტომ ამ ქვეყანაში არ განვითარებულა არც რაიმე მრეწველობა, არც აღებ-მიცემობა: არ მოიპოვება არც მანქანები, არც ქარხნები. რაც სახლისათვის და მეურნეობისათვის საჭიროა, ყველა სახლში მზადდება და კეთდება.

კორეელების სახლში მთელ დღეს ტრიალებს ჯარა და ხმაურობს საფეიქრო. სახლში მზადდება ტილო, შალეულობა და აბრეშუმეულობა. რადგან აქ ქარხნები და მუდმივი სახელოსნოები არ იციან, აქაური ხელოსნები სულ მგზავრობაში და გადასვლა-გადმოსვლაში ატარებენ დროს: წავა, მაგალითად, რომელსამე სოფელში მეჭურჭლე, ხელად მოაქოხებს სახელოსნოს და აკეთებს ჭურჭელს, გამოსწვავს, და ჰყიდის და როცა ნახავს, რომ ეს სოფელი ჭურჭლით დაკმაყოფილდა, აიბარგება აქედან და გადავა ახლა მეორე სოფელში. ასევე იქცევა, ხარაზი, მკერვალი, მჭედელი და სხვა ხელოსანი.

ერთ საქმეში-კი კორეელებმა ჩინელებსაც წინ გაუსწრეს. ეს—ქალაქის მომზადებაა. აქაური ქალაქი საუკეთესო თვისებისაა და ძალიან იაფიც; სიმტკიცე და სიფაქიზესთან ეს ქალაქი მეტათრბილიც არის. ამიტომ კაცი ვერ მოსთვლის ყველა იმ საგნებს, რასაც კორეელები ქალაქისას აკეთებენ: ფეხსაცმელი, ქუდები, ქოლგები, ტომრები, სუფრები, პატრუქები და ათასი სხვა კეთდება ამ ქალაქისაგან. ამ ქალაქს დიდი გასავალი აქვს ჩინეთში და იაპონიაში.

ქალაქის კეთების გარდა კორეაში გავრცელებულია არაყის გამოხდა. არაყს ბრინჯისას ჰხდინ და სმაც საკმაოდ უყვართ. ლოთობა ძალიან გავრცელებულია. სვამენ კაცებიც, ქალებიც და ბავშვებიც.

1636 წლიდან 1876 წლამდე კორეა კარ-ჩაკეტულში ცხოვრებდა: ვერც უცხო ვინმე გაბედავდა ამ ქვეყანაში შესვლას, ვერც კორეელი გაბედავდა სხვა ქვეყანაში წასვლას: ერთსაცა და მეორესაც სიკედილით დასჯა მოელოდა. 1877 წლიდან კორეის კარები გაიღო; დრომა და ცხოვრების მოთხოვნილებამ თავისი გაიტანა.

კორეიამ და იაპონიამ პირობა დადევს, რომ ერთმანეთში აღებ-მიცემობა გაემართათ. ამას შემდეგ ჩინეთმაც გააბედინა კორეიას და ამგვარისავე პირობით შეეკრა. 1883 წელს კორეიას ასეთივე აღებ-მიცემობის პირობა ჩამოართვეს ინგლისმა და ჩრდილო-ამერიკის შტატებმა. ბოლოს აღებ-მიცემობა გამართა რუსეთთანაც.

ამ წლის დამდეგს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთსა და იაპონიას შორის ომი დაიწყო. კორეიამ ნეიტრალიზება გამოუცხადა, ე. ი. სურვილი იმისა, რომ არც ერთს მეომარ სახელმწიფოთაგანს არც მიემხრობი და არც რაიმე შემწეობას გაეუწევო.

ამის მიუხედავად იაპონიამ უეცრივ შეიყვანა კორეიაში დიდძალი ჯარი და ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო. მეფეც და ხალხიც უნებლიედ დაემორჩილნენ იაპონიის ბატონობა-ბრძანებლობას.

ამას შემდეგ რა ბედი მოეღოს კორეიას,—ამ მოკლე ხანში გამოჩნდება.

ან. მანი.





მეფე თაღლით-ფულასარ

(ასუჭული ზღაპარი)



ეკო ნუნუა ქალაქს თაღლით-ფულასარ მეფე, ბედნიერი და ყოვლითა სიკეთითა სრული. ჰქონდა მხოლოდ ერთი ნაკლი, — ძილი მეტად უყვარდა. ბევრს ძილს კიდევ არა უშავს რა, მეფეს რომ სიზმარი არა სჯერებოდა. ძილში რამე მოეჩვენებოდა და მერე მთელი დღე სულ იმის ფიქრში იყო: ნეტა ის სიზმარი რას უნდა ნიშნავდესო?

ასეთს ყოფაში აერთებდა მეფე დღე და ღამეს. თითონაც უფოთავდა, თავის მესტროლაბეებსაც არ ასვენებდა.

ერთ საღამოს თაღლით-ფულასარ დარბაზის ერდოზედ რომ სთელემდა, ვეფხვედ შემჯდარი ბაყაყი ეზმანა. ამ ბაყაყმა ზრდა დაიწყო და მალე ისე გადიდდა, რომ ვეფხვს გადააქარბა; მერე დაახრჩო ვეფხვი და ჩაყლაპა.



წამოხტა შემკრთალი მეფე, იხმო კარის მესტროლაბენი და თავისი სიზმარი უამბო. ბევრი იკითხეს მესტროლაბეებმა, ბევრი შინჯეს თავიანთ სტროლაბებში, მაგრამ ვერა გამოიციენსრა. მეფე-კი ამ სიზმრის შიშმა ისე შეიპყრო,

რომ აღარც ძილი და მოსვენება ჰქონდა, აღარც მაღა და გახარება. საშინლად ჩამოხმა; იმ შეენიერ ოქროს ფოჩიან კაბაში უწინ რომ ვერ ეტეოდა, ახლა ძლივსღა სჩანდა. იქნება სულაც გამხმარიყო, ერთი აზრი რომ არ მოსელოდა. სთქვა მეფემ თავის გულში: მოვიწვევ რაც ქვეყანაზედ ბრძენია, მისანი და მესტროლაბე, მოგვი და ვარსკვლავთ-მრიცხველი, გრძნეული და წინასწარმეტყველი. ვკითხავ, ეგების იმათ გამოიცნან ის უცნაური სიზმარიო.

სთქვა და გაგზავნა თაღლით-ფულასარ მეფემ შიკრიკნი ქვეყნის ოთხსავე მხარეს ბრძანების გამოსაცხადებლად. წავიდნენ შიკრიკნი, ბევრი იარეს და მივიდნენ სადაც სცხოვრებდნენ სირიელნი, სომეხნი, კოლხიდელნი, სპარსნი, მიდნი, პართნი, ბაქტრიელნი, სოგდიელნი, სკვითნი და ეთიოპელნი. რა მივიდნენ, ჰკრეს ბუკსა და ნალარასა და ასე გამოაცხადეს: „მოდით, ეინცა ხართ ბრძენნი, მეცნიერნი და სიზმრის გამოცნობაში დახელოვნებულნი, დიდი მეფე ასურეთისა თაღლით-ფულასარ გიწვევთ თავის კარზედ. მოდით და აუხსენით რას მოასწავებს სიზმარში ეფუხის ჩაყლაპვა ბაყაყისაგან. უთვალავს საჩუქარს უბოძებს მეფე მაგ სიზმრის გამოცნობაო“.

ასე სთქვეს და წამოვიდა ყველა ქვეყნიდან ეინც-კი ბრძენი იყო, ზოგი ქვეითი და ზოგი ცხენით, ზოგი აქლემით და ზოგი ვიროთ, ზოგი ეტლით და ზოგიც ტახტრევიანით. აივსო გზებუ ბრძენების ქარაენებით. ნუნუა ქალაქს რომ შევიდნენ, სხვა-და-სხვანაირად ჩაცმულნი, მოქალაქებს ყვენობა ეგონათ.

ოცდა ცამეტი ათასი ბრძენი შეიკრიბა და რადგანაც მეფის სასახლეში არ ეტეოდნენ, ქალაქს გარეთ კარეები დაუდგეს და იქ დააბინავეს.

სამას ოცდა ათი დღე იფიქრეს, იბაასეს, ითათბირეს, იჩხუბეს და იყვირეს ამ ოცდა ცამეტმა ათასმა ბრძენმა და ბოლოს ერთხმად გადასწყვიტეს: ეფუხისა და ბაყაყის სიზმარი იმას ნიშნავს, რომ მეფემ ცოლი უნდა შეირთოსო.

რასაკერვლია, მეფის საცოლოო ქვეყანაზედ უშენიერეს ქალებ-

ში უნდა ამოერჩიათ, რადგან დედოფალი სიტურფითა და ზნით უკლები უნდა ყოფილიყო. ძნელი იყო ასეთი საცოლოს პოვნა და თაღლით-ფულასარ მეფემ უბრძანა ოცდა სამეც ათასს ბრძენს: „ღარჩით ჩემთან და საცოლოს არჩევაში დამენმარენითო“.

გაგზავნა მაშინვე მეფემ შიკრიკნი ქვეყნის ოთხსავე მხარეს ბრძანების გამოსაცხადებლად. წავიდნენ შიკრიკნი, ბევრი იარეს და მივიდნენ, სადაც სცხოვრებდნენ სირიელნი, სომეხნი, კოლხიდელნი, სპარსნი, მიდნი, ჰართნი, ბაქტრიელნი, სოგდიელნი, სკვითნი და ეთიოპელნი. რა მივიდნენ, ჰკრეს ბუქსა და ნალარსა და ასე გამოაცხადეს: „მოდით ვინცა ხართ ახალგაზდა ქალები, ვისაც თავისი თავი ასურეთის დედოფლობის ღირსი ჰგონია. თაღლით-ფულასარს ნებავეს შეერთოს ცოლად ვინც სილამაზითა და ზნითა, ჭკუითა და ხასიათით ყველაზე უკეთესი გამოდგებაო“.

ასე სთქვეს და წამოვიდა ყველა ქვეყნიდან ვინც-კი დედოფლობის ღირსი იყო, დიდებულის ქალი, ერისთავის ქალი, პატრიარქის ქალი, ზოგი ქვეითი და ზოგი ცხენით, ზოგი ჯორით და ზოგი სპილოთი, ზოგი ეტლით და ზოგი ტახტრეგანით. ძალიან სწუხდა თაღლით-ფულასარ მეფე, რატომ არ იყო იმ დროს რკინის გზები და ჰაროსტატები მოგონილი, რომ იმ შეენიერს მანდილოსნებს უფრო ჩქარა ემგზავრათ.

მოდიოდნენ ეთიოპიით შავები, სკვითიით ყვითლები, კოლხიდით ვარდისფერნი, სირიით თეთრები, სპარსეთით მწვანები. მოდიოდნენ ცეკვაში დახელოვნებულნი ინდოელნი, თვალ-მარკალიტით მოკაზმულნი და ოქრომკედით ნაკერ ლეჩაქით თავდახურულნი; ქალდეველნი მხიარულ ფერის ტანის მოსითა; ლიდელინი ფერადებით ნაკერ კაბებითა და ზიზილპიპილით მორთულნი; ბაქტრიელნი მალაღის გვირგვინებითა და გრძელის წამოსასხამებით. ეს ქალები ნუნუა ქალაქს რომ შემოვიდნენ, მათის ჭიკჭიკისაგან ცამეტის ვჯის მიდამოს ყურთა სმენა არ იყო და თაღლით-ფულასარ მეფე კინალამ დაქრუედა.

სულ ოცდა ცამეტი ათასი ქალი შეიკრიბა. ჯერ მარტო მათი თვალის გადასაელებლად ერთი დღე არა კმაროდა, ახლა თქვენ იფიქრეთ, იმათი თვალებისა და ცხვირების გასინჯვასა და შედარებას რამდენი ხანი მოუწოდებოდა! თაღლით-ფუფლასარ მეფე-კი მარტო სილამაზის გამორჩევას როდი სჯერდებოდა, ისიც უნდა შეეტყო თუ სილამაზესთან რომელი საცალო უფრო ჭკვიანი იყო და კარგის ხასიათისა. რა თქმა უნდა, რომ მაგის გამოცნობას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა.

სანამ ასეთი ძნელი საქმე გადასწყდებოდა, მინამ ის ოცდა ცამეტი ათასი მზისუნახავი ქალი ხომ უნდა დაებინაებინათ, რომ მზეზედ არ გამხმარიყვნენ და წვიმაში არ გაციებულიყვნენ. მაგრამ საცალობაც ის იყო, რომ არც ნუნუა ქალაქში და არც ქალაქის მიდამოს ქალების დასაბინაებლად სახლები აღარ იშოვებოდა.

შეჰყარა თაღლით-ფუფლასარ მეფემ ოცდა ცამეტი ათასი ბრძენი და უბრძანა: „აბა რა ექნათო?“

ოცდა ცამეტი დღე თავი იქექეს და იციფეს ოცდა ცამეტმა ათასმა ბრძენმა და ბოლოს ერთხმად გადასწყვიტეს: მეფემ ახლავე სახლები უნდა ააშენოსო.

მოიწონა თაღლით-ფუფლასარ მეფემ ასეთი თეთბირი და გაგზავნა მაშინვე შიკრიკნი ქვეყნის ოთხსავე მხარეს ბრძანების გამოსაცხადებლად. წაიღნენ შიკრიკნი, ბევრი იარეს და მივიღნენ სადაც სცხოვრებდნენ სირიელნი, სომეხნი, კოლხიდელნი, სპარსნი, მიდნი, პართნი, ბაქტრიელნი, სოგდიელნი, სკვითნი და ეთიოპელნი. რა მივიღნენ, ჰკრეს ბუკსა და ნალარასა და ასე გამოაცხადეს: „მოდით, ვინც ხართ ხელოსანი, მუშა და ხუროთმოძღვარი, აუშენეთ თაღლით-ფუფლასარ მეფის საცალოებს ქალაქი და მეფე კაი ხელფასს მოგცემსო“.

ასე სთქვეს და წამოვიდა ყველა ქვეყნიდან ვინც-კი ხუროთმოძღვარი იყო ფარგალითა და სამკუთხით, კალატოზი—ქაფჩითა და თარაზით, ღურგალი—ჩანდითა და ხელციხითი, მიწის-მთხრელი—ნიჩ.



ბითა და წერაქვით, მხატვარი—კიბითა და ფერადით, ზოგი ქვეითი და ზოგი ცხენით, ზეგი აქლემით და ზოგი ვირით, ზოგი ეტლით, ტახტრეწით-კი ძალიან ცოტა. ამოდენა ხელოსანი და მუშა ხალხი სხვა-და-სხვა ენის მოლაპარაკე ნუნუა ქალაქს რომ მოაწყდა, მოქალაქებს ეგონათ ბაბილონის გოდოლი ხელახლად დაქცეულა და ეს ხალხი იქიდან წამოსულაო.

უბრძანა თაღლით-ფულასარ მეფემ ხელოსნებსა და მუშებს აეგოთ ალვის ხის ოდები, ქაშანურის აგურის სახლები, თლილი ქვის დარბაზები, ფრთოსან მოზურების ქანდაკებითა, ალაყაფის კარებით, ერდოებით, დერეფნებით, დაკიბულ ბალებით, სემირამიდის ბალებსავეთ. ერთის სიტყვეთ, ეფერატის პირს ერთი ქალაქი უნდა გამოეჭიმათ.

ხელოსნებმა-კი დაიწყეს შენება, მაგრამ ამდენ ხალხს სმა-ჭამა ხომ უნდოდა, და ვაი ის იყო, რომ მეფის სულადმა იწყო ლევა.— ბრძენებმა მეტად ბევრი შეჭამეს, ქალებსაც ცოტა არ დაუკლიათ. ბრძენებმა თუ ხაჭაპურები და ძეხვები შთანთქმეს, ქალებმაც მურაბა და ნულლეული აღარ შეარჩინეს. გასწყდა სანოვავე და საცაა შიმშილი მოვა. შეშინდა თაღლით-ფულასარ მეფე, შეჰყარა ოცდა ცამეტი ათასივე ბრძენი და უბრძანა: „აბა რა ექნათო?“

ოცდა ცამეტი წუთი იზაასეს ბრძენებმა და ერთხმად ასე გადასწყვიტეს: კარგს ინებებს მეფე თუ ბრძანა და ხელ-ახლად გაავსებინა სანოვაგით და სასმელით თავისი სარდაფები, ბელლები, მარნები და ქალაქის ბაზრებიო; და რომ ხალხს შიმშილობის ეჭვი გულში არ შეუვიდესო, სჯობს მეფემ ახლავე დიდი ნაღიმი გაუმართოს თავის მრჩეველებსაო.

ბრძენებისათვის ნაღიმი მეფეს არ გაუმართავს, შიკრიკნი-კი მაშინვე გაგზავნა ყველგან თავის ბრძანების გამოსაცხადებლად. წავიდნენ შიკრიკნი, ბევრი იარეს და მივიდნენ სადაც სცხოვრებდნენ სირიელნი, სომეხნი, კოლხიდელნი, სპარსნი, მიდნი, პართნი, ბაქტრიელნი, სოგდიელნი, სკვითნი და ეთიოპელნი. რა მივიდნენ, ჰკრეს ბუკსა და ნალარასა და ასე გამოაცხადეს: „მოდით, ვისაცა გაქვთ

პური, ღვინო და საკლავი, ბლომათ მოზიდეთ და ასურეთის მფლობელი თაღლით-ფულასარ უბრძანებს თავის ნაზირს, მეღვინეთ-ხუცესსა და მეპურეთ-მოძღვარს კაი ფასი მოკცენო“.

ასე სთქვეს და წამოვიდა ყველა ქვეყნიდან პურის ვაჭარი ხორბლითა, მეხრე ნახირითა, მონადირე ჯეირნებითა, მებაღური ქანრები თა და სირაჯი ღვინოებითა. ქანანით მოაქეთ ისეთი მტევნები, რომ თითოს ორი კაცი ძლიესა სძლეეს; კოლხილით მოაქეთ თაფლი და წმინდა მატყლიანი ცხერები; ეგვიპტით ხორბალი და ხარები, მოვარაყებულის რქებითა; სპარსეთით ბრინჯი, საზანთრო და ხახლებით ბალი, ატამი და ფორთოხალი; ქალღვით ინდის ხურმა, ბროწეული და შარბათები.

ქარაენები ნუნუა ქალაქს რომ მოვიდა, დაეცა დამშეული ხალხი და ზოგი მოქალაქებმა დაიტაცეს, ზოგიც კარის-კაცებმა აიკლეს. შეიქნა მტაცებლობა. ერთმანერთს ხელიდან ჰგლეჯდნენ პურსა, ფლავსა, ღვინოს. იყო უზომო ლხინი, ჩხუბი და სისხლის ღვრა. ერთმანერთს ჰხოცავდნენ, იმიტომ რომ ზოგს მეტი დაელია, ზოგს-კი საკმაოდ ვერ დაელია, ზოგს ჯეირნის ბარკალს ართმევდნენ, ზოგს-კი ზუთნის წვადებს არ ანებებდნენ.

თაღლით-ფულასარ მეფის გამართული ნადიმიც წახდა მეტის უწესოებით, ბევრი დაუპატიჟებელი სტუმარი შემოეპარა და წვეული და უწვევარი ისე დაითვრნენ, რომ ერთმანერთს თეფშებისა და თასების სროლა დაუწყეს და სასმელ-საჭმლით საესე ტაბლები და დარბაზის ბოძები წააქციეს. პოლიცია ვეღარ ასდიოდა ამდენს უწესოებას და ხელმწიფობის საფუძველი შეირყა.

შეეშინდა თაღლით-ფულასარ მეფეს, შეჭყარა ოცდა ცამეტი ათასივე ბრძენი და უბრძანა: „აბა რა ექნათო?“

სამი წუთი იბაასეს ბრძენებმა და ერთხმად ასე გადასწყვიტეს: წესიერების დასაცველად მეფემ ჯარები უნდა გაამარაგლოსო.

მოიწონა მეფემ ასეთი თათბირი და გაგზავნა მაშინვე შიკრიკნი ქვეყნის ოთხსავე მხარეს ბრძანების გამოსაცხადებლად. წავიდნენ

შიკრიკნი, ბეგრი იარეს და მივიდნენ სადაც სცხოვრებდნენ სირიელნი, სომეხნი, კოლხიდელი, ქალდეველნი, სპარსნი, მიდნი, პართნი, ბაქტრიელნი, სოგდიელნი, სკეითნი და ეთიოპელნი. რა მივიდნენ, ჰკრეს ბუკსა და ნალარასა და ასე გამოაცხადეს: „მოდიოთ, ვისაც იარალის ტარება შეგიძლიანთ, თაღლით-ფულასარ მეფის ლაშქარში ჩაერიცხებით და კაი ულუფას მიიღებთ“.

ასე სთქვეს და წამოვიდა ყველა ქვეყნიდან სხვა-და-სხვაგვარად აღჭურვილი ცხენოსანი: კოლხიდელი ამოძღვები, პართნი გაქვინებულ ცხენიდან ისრის მარჯვეთ მსროლელნი ხმალ-გრძელნი სპარსნი, შეილდოსანნი ბაქტრიელნი და შუბოსანნი სირიელნი; წამოვიდა სხვა და სხვა გვარი ქვეითა მეომარი: ზოგი სუზელი მდიდრულად ჩაცმული, ოქრომკედით ნაკერ ხალათითა, დიდრონის მოვარაყებულის კაპარკითა და დახუჭუჭებულის წვერითა; ზოგი ქალდეველი მისივე ტანის ოდენა ფართა, რომელსაც ბრძოლის დროს ეფარება; ზოგი კავკასიონის და კასპიის მხარისა, ჩაჩქან-ჯაფშანით და სამკლავე საბარკულითა; ზოგი ფრიგიელი მეშურდულე მოკლეთ ჩაცმული და ნაბდის ქუდითა; ზოგი ეტლზედ შემდგარი თავის მეეტლითა; ზოგიც იმ საშინელის ეტლით, რომელსაც დერძზედ მარჯვნივ და მარცხნივ ცელები აქვს გაკეთებული მტრის გასანადგურებლად.

ამ ურიცხვ ლაშქარის დასაფარავად ციხე-სიმაგრეები იყო საჭირო. ბრძანა მეფემ და ააშენეს სამი რიგი ვეება ზღუდე, აგურის კედლები თხრილებით გარს-შემოვლებული, სამას ოცდა ცამეტ სპილენძის კარითა. ციხის კედლები სიმალით ცამეტის ზედი-ზედ შემდგარის კაცისოდენი იყო, ორსავე პირზედ ბურჯებ-დატანებული, სისქით-კი იმოდენი, რომ ზედ სამი ეტლი დაეტეოდა სამ-სამ შებმულის ცხენით.

ამ უზარმაზარ შენობას ფულიც ბლომათ უნდოდა, მაგრამ ვაიცის იყო, რომ თაღლით-ფულასარ მეფეს თეთრი შემოაკლდა. სანამ მეფე თავის ტურფა ნუნუა ქალაქს შეიღობით და ბედნიერად სცხოვ

რებდა და სანამ ცოლის შერთვას არ მოიგონებდა, დილამც ბევრი ფული გადაედო, — რასაც მოხარკე მეფეებს ოქროს ართმედა, სულ სალაროში ინახავდა. მაგრამ მას აქეთ რაც ეს ოცდა ცამეტი ათასი ბრძენი ახლავს, მას აქეთ რაც საცოლოს ასარჩევად სასახლეების შენება დაიწყო, მერე შენებას ხელოსანისა და მუშა ხალხის რჩენა მოჰყვა, მერე მათს რჩენას წესიერების დაცვა და ბოლოს წესიერების დაცვას ლაშქრის შენახვა, — მას აქეთ თაღლით-ფულასარ მეფეს სალაროები დაელია, შიგ ერთი ფარაც არ უჭყვიეს.

ღარჩა ერთი კლდეში გამოკვეთილი აკლდამა, სადაც ძველად თურმე ერთი დედოფალი დამარხათ და აკლდამის შუბლზედ ამოეკრათ სამ-ენეული წარწერა: აქა ძვეს მეანი დედოფალი ურიცხვ საუნჯით დამარხულია. ნუ ინებებენ მეფენი, მისნი ჩამომავალნი და ნუ გახსნიან მის სამარესა, ვიდრე უარესი განსაცდელი არ ეწვეათ.

დაფიქრდა თაღლით-ფულასარ მეფე, შეჰყარა ოცდა ცამეტი ათასი ბრძენი და უბრძანა: „აბა რა ექნათო?“

ერთ წუთსაც არ უბაასნიათ ოცდა ცამეტ ათასს ბრძენსა და ერთხმად გადასწყვიტეს: სწორეთ დროა აკლდამის გახსნისა, ამაზედ უარესი განსაცდელი არ იქნებაო.

გააღეს აკლდამის კარი და თითონ თაღლით-ფულასარ მეფე ჩაბრძანდა დიდის კრძალვითა და მოწიწებითა. დახედა მეფემ და ვაი იმ დანახვას! — სამარეში მარტო დედოფლის შემთრეილი გვამი იდო და ზედ ფიცარი ლურსმებრივის წარწერითა:

„უგუნურო! შენ რომ გაუმაძღარი, ბედოვლათი არ ყოფილი ყავ, საფლავს არ შემოიგინებდიო“. ასე გააბრიყვა თურმე ცხოვრებულმა დედოფალმა თავისი ჩამომავალი.

წავიდა თაღლით-ფულასარ მეფე შერცხვენილი, თავ-ჩაღუნული, ცხვირ-ჩამოშვებული. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ბაბილონის დიდმა ბანკმა ძმათა სქელ-ჯიბიანთა, მაშინვე მოუსპო მეფეს ყოველი სესხი. შესწუხდა გაკოტრებული თაღლით-ფულასარ, ტიროდა და ჰგო-



მეფე თაღლით-ფულასარ

დებდა ღლე და ღამ და ჩაეარდა დიდს საგონებელში, ვაი თუ მხე-
ცად ვიქცე და ბალახის ძოვას მოეყვებო...

შიკრიბნენ მოუწვეველად ოცდა ცამეტი ათასი ბრძენი, ითათ-
ბირეს და ჰპოვეს უებარი გაჭირების ტალკევისი: გაილაშქროს მეფემ
მოსაზღვრე სამეფოებზედ და ზოგს ხარკი გამოართოს, ზოგს ბეგარა
დაადოსო.

მოიწონა მეფემ ასეთი თათბირი და გაგზავნა შიკრიკნი ქვეყნის
ოთხსავე მხარეს ბრძანების გამოსაცხადებლად. წაეიდნენ შიკრიკნი,
ბევრი იარეს, მიეიდნენ სადაც სცხოვრებდნენ სირიელნი, სომეხნი,
კოლხიდელნი, სპარსნი, მიდნი, პართნი, ბაქტრიელნი, სოგდიელნი,
სკვითნი და ეთიოპელნი. რა მიეიდნენ, ჰკრეს ბუქსა და ნალარასა და
ასე გამოაცხადეს: „მოღით და მოართეთ თაღლით-ფულასარ მეფეს
ძვირფასი ძღვენი. ვისაც არ მოგიტანიათ, იცოდეთ, მოგისევს მეფე
თავის უთვალაეს ლაშქარსა, ამოგწყვეტს და აგაოხრებსო“.

ასე სთქვეს და წამოვიდა ყველა ქვეყნიდან ღესპანი ძვირფასის
ძღვენითა: ზოგი პერსეპოლიდან გუნდრუკითა და ვარდის წყლითა,
ზოგი ქალდეიდან სამისნო ბედისწერითა და დაბეჭდილ აგურებითა,
ზოგი კოლხიდიდან საპატიო ხმლებითა, ზოგი სარდიდან თარით და
ჭიანურითა, ზოგიც თარსიდან თიხის ქანდაკებითა.

ეცოტავა თაღლით-ფულასარ მეფეს ასეთი ძღვენი, განრისხდა
და ძუნწ ხალხებს ომი გამოუცხადა. მიუსია თავისი ნაირ-ნაირი ლაშ-
ქარი, მუსრი გააელო, აიკლო და ააოხრა. სამას ოცდა ცამეტი ათა-
სი კაცი დახოცა და სხვა სამას ოცდა ცამეტი ტყვედ წამოასხა. ამ
ლაშქრობამ სამას ოცდა ცამეტს თვეს გასტანა.

რა შესრულდა სამას ოცდა ცამეტი თვე, დაჯდა თაღლით-ფუ-
ლასარ მეფე ნუნუა ქალაქს მორჭმითა და დიდებითა და განისვენა.
მისი სამეფო მის ნაზმანებს ბაყაყსავეით გადიდდა და დაჰფარა ქვეყანა
კიდით-კიდემდე და აევსო დავლით სალარო და საჭურჭლენი. მაგ-
რამ იმ ოცდა ცამეტ ათას საცოლოში, ნუნუა ქალაქს რომ ინახაე-
და, დედოფლობის ღირსი აქამდის ვერ ამოერჩია. არა სცალოდა.

ახლა რაკი მოაგონდა, ბრძანა სახელით საცოლოების გა-
 შინჯეა. მეორე დღეს ეახლნენ ვეზირნი, დიდებულნი და ბრძენნი,
 დაჯდა მეფე ტახტზე და ბრძანა: „რომელს ქალსაც სკიპტრას დაეა-
 დებ, ის იქნება ყველაზედ ლამაზი, უმანკო, ჭკვიანი და კარგის ხა-
 სიათისა, და ის ამირჩევია დედოფლადო“.

მაგრამ, ვაი უბედურებაჲ! სანამ ამდენი ხანი გავიდოდა, უმეტე-
 სობას მოსწყინდა ლოდინი და დახრაცა, დარჩა ცოცხალი ოცდა
 ცამეტი-ლა საცოლო და ამათაც აღარ შერჩენიათ ახალგაზღობის
 ელფერი. ნორჩს აშარას გასციენია თმა და კბილები, ტურთა ზარ-
 ფანა დაკოჭლებულა, ცქეტი ნაქსუა ძლიეს-ლა დაათრევს ფეხებ-
 სა, წამოსადევი ანათი წელში საცოდავად მოხრილა, და წერწეტი
 ვესტრი ისე გასუქებულა, რომ ოთხს მხეველს ძლიეს დაჰყავთ. ამო-
 რძლები ბურთებსავეთ დარგეალებულან, სირიელნი ლერწანსავეთ
 დაწერილებულან, ქალდეველნი მუმიასავეთ გამხმარან, შავნი ეთიო-
 პელნი გათეთრებულან, სპარსნი ისე დაღმეკილან, რომ სქლად წა-
 სმული ფერ-უმარილიც ვერას შეეღის.

მოწყენილი იჯდა თითონაც დაბერებული თაღლით-ფულასარ
 მეფე და სირცხილით ველაც შეეხედნა დამქნარ საცოლოებისათვის.
 ვერავის დაადო თავისი სიძველით მოგრენილი სკიპტრა, ვერავინ ნა-
 ხა დედოფლობის ღირსი და გადასწყვიტა უცოლოდ დარჩენილიყო.

ახლ. საწაჯიშვილი.

(ფრანგულიდან)





აქტეონი.

(ოვიდიუსი)

ფინიკიელთა მეფის კადმის შვილის-შვილი აქტეონი მთელს სახელმწიფოში იშვიათ მონადირეთ იყო მიმჩნეული. ახალგაზდა მონადირის შვილდ-ისარი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული იყო. სახელმწიფოს მონადირენი პირველობას ნადირობაში მუდამ კადმის ახალგაზდა შვილის-შვილს უთმობდენ. თვითოვეულ დახელოვნებულს მონადირეს სასახელოდ მიაჩნდა, როცა აქტეონი

თავისი შვილდ-ისარით ნადირობაში მონაწილეობას იღებდა. ყველას ღრმად სწამდათ ახალგაზდა აქტეონის ნადირობის ნაჭი და უნარი, ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ აქტეონის შეუდარებელის ნადირობით. სწორეთ ამიტომაც იყო, რომ მთელს სახელმწიფოში თუ ვინმე-კი ნადირობას განიზრახავდა, ახალგაზდა მონადირის მოპატიჟებას თავის მოვალეობათ სთვლიდა.

ერთხელ აქტეონი დილა აღრიან თავისი თანამონადირენით კითერონის მაღალსა და დაბურულ ტყით დაფენილს მთაგრეხილებზე ნადირობდა. მშვენიერი დილა იყო. მზის სხივები ცის მაღალს სივრცეში ათასნაირათ ბრჭყვინავდნ და მარგალიტებრ თავს სცივიოდნენ კითერონის მთაგრეხილებზე გაშენებულს თვალ-უწვდენელ ტყის წვერვალთ. ჩიტების ყრამული და კისკისი მთა და ბარს ერთიანათ

მოსდებოდა და შორს, შორს ქვემოთ დაფენილს ქალა-მინდვრებს ფიანდაზათ ეფინებოდა. ნადირთა გუნდი მთის კალთებს შეფარებოდა და გულის ცახცახით თვალ-ყურს ადევნებდა მონადირეთა მწე-ვარ-მეძებრების თავ-დავიწყებით ატეხილს ყიჟინს და ხმაურობას. მზე თან და თან უფრო უხვათ ჰვენდა თავის ცხოველ-მყოფელს სხი-ვებს კითერონის მთაგრეხილების მიდამოებს. მხდალი ნადირთა გუნდი შიშით თავზარ დაცემული მთაგრეხილების მიუვალს და სა-შიშ ადგილებს ეტანებოდა. მონადირენი კვალ და კვალ მიზღვედენ შეშინებულ ნადირთა გუნდს და შეუბრალებლათ სტყორცნიდენ მშვილდ-ისრებს. საცოდავი ნადირნი ერთის ადგილიდან მეორე ად-გილას აწყდებოდენ, ეგების სადმე თავი უენებლათ შეეფარათო, მაგრამ ყოველი ცდა ამ მხრით უნაყოფოთ რჩებოდა. აქტეონის მახვილი მშვილდ-ისარი შეუბრალებლათ ასალმებდა წუთი სოფელს უდანაშაულო ნადირთა გუნდს. საბრალო ტყის გუშაგნი ნაკადულებერ ცრემლებს აფრქვედენ და გულამოსკენით ქვითინებდენ და ქვითი-ნებდენ. „რატომ? რისთვის? რა დავაშავეთ?“ თვალ-ცრემლიანი უხ-მოთ ეკითხებოდენ თავიანთ თავს, და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ტყის შუაგულისკენ გარბოდენ და გარბოდენ. მაგრამ, სამწუხაროთ ვერც აქა შოულობდენ თავშესაფარს. მონადირეთა შეუბრალებელი მშვილდ-ისარი აქაც მარჯვეთ ჰგმირაედა საბრალოთ და ისევ უხ-მოლვე უკლავდა გულში ზემოდასახელებულ საკითხთა: „რატომ? რისთვის? რა დავაშავეთ?“

ნადირობამ ჩინებულათ ჩაიარა. ნაყოფიერის ნადირობით კმაყო-ფილნი, მონადირენი სიხარულისაგან ფეხზედ არ იდგენ. უკვე შუა-დღის ხანმაც მოატანა. მზემ თვისი სხივების სიძლიერე გააორკეცა. ნადირობისაგან დაღლილი მონადირენი ჩეროვებში ჩამოსხდენ და მოსვენების თავდარიგს შეუდგენ.

აქტეონი თავის ამხანაგებს ჩამოშორდა და მთისგრეხილების მი-დამოებში უფრო მყუდრო თავშესაფარის ძებნას შეუდგა. დიდხანს

და დიდხანს დაეძებდა ახალგაზდა მონადირე უფრო მყუდრო და გან-
მარტოებულ მოსასვენებელ თავშესაფარს.

დიდხანის ძებნის შემდეგ აქტეონი სრულიად შემთხვევით მიუ-
ახლოვდა ერთს კვიპაროსისა და არყის ხეებით დაფენილს ქალას.
ეს ბუნების მშვენიერი წალკოტი მონადირე ქალ-ღმერთის არტემი-
დას თავშესაფარ მოსასვენებელ ადგილათ იყო თურმე მიჩნეული.
ქალის შუა ადგილას ხელოვნურათ გაშენებული იყო ლამაზი გა-
მოქვაბული. მარჯვნივ იქვე ბალახებით ამწვანებულს ნაპირებზე გად-
მოჩუხჩუხებდა ანკარა მთის წყარო. ხშირად არტემიდა ქალ-ღმერთი
ნადირობის შემდეგ ისვენებდა ამ გამოქვაბულში და მთის ანკარა
წყაროს დალილ-დაქანცული უხვათ ეწაფებოდა.

სწორეთ იმ დღეს, როცა აქტეონი სრულიად შემთხვევით ამ
მშვენიერს გამოქვაბულს მიუახლოვდა, მონადირე ქალ-ღმერთი თა-
ვის მხლებელებით ამ ტურფა ადგილას საგრილებლათ განისვენ-
ებდა. მხლებელნი ეზიდებოდნენ წყაროდან ანკარა წყალს ოქროსა
და ვერცლის თასებით და უხვათ აბკურებდნენ მონადირე ქალ-ღმერ-
თის სიციხისაგან დაოსებულს სხეულს.

აქტეონის დანახვაზედ არტემიდას მხლებელებმა ერთა უეცრივ
შეჰკივლეს და უმაღვე მონადირე ქალ-ღმერთს ირგვლივ შემოერტყ-
ნენ, რომ ამნაირათ დაეფარათ თავის ბრძანებელის ტანთ-ხალვათობა.
აქტეონის დანახვაზე მონადირე ქალ-ღმერთს სიწითლემ ერთიანათ
დაუარა პირისსახეზე. არტემიდას რომ ამ დროს მშვილდ-ისარი
ხელთ ჰქონოდა, უმაღვე შეუბრალებლად განგმირავედა კადმის ახალ-
გაზრდა შვილის-შვილს. ქალ-ღმერთს პირისახეზე სირცხვილისაგან
სიწითლის აღმური ასდიოდა.

დაუყანებლივ ახალგაზდა მონადირე ქალ ღმერთმა, შეასწრო აქ-
ტეონს თვალი თუ არა, ოქროს თასიდან ამოიღო ერთი პემვი ან-
კარა წყალი და ერთბაშათ მისახურა ელვის სისწრაფით უკან გა-
ტრიალებულს აქტეონს.

— წადი და ახლა ყველას უამბე, რომ უტანთსაცმელოთ

თვალი მომკარი, თუ-კი ბაგენი შენი სიტყვის რამ ამოღებას მოახერხებენ“ აღელვებულის კილოთა გასძახა მონადირე ქალ-ღმერთმა უკანვე გაბრუნებულს კადმის ახალგაზრდა შვილის-შვილს.

აქტეონი თავის ამხანაგებისაკენ ფეხაკრფით მიეშურება. მაგრამ, დახეთ საკვირველებას! კადმის ახალგაზრდა შვილის-შვილს თავზე ირმის რქები ეზრდება. კისერი თანდათან უგრძელდება, ხელები ფეხებათ უკეთდება, ჩლიქები შესამჩნევათ ეზრდება. მთელი სხეული თმით ემოსება, ფეხებს სიმარღე ემატება; საბრალო აქტეონი ირმათ იქცა, მხოლოდ ჭკუა-გონება-კი ისევ თავისი შერჩა. როცა ახალგაზრდა მონადირემ თავისი აწინდელი სახე წყლის სიღრმეში დაინახა, ერთი გულამოსკენით ამოიოხრა და თვალთაგან ცხარე ცრემლების ნაკადული წასქდა.

საბრალო აქტეონი, ამ ქამად ირმად ქცეული, მწუხარეთ სდგას კითერონის მთაგრეხილების ტყის შუაგულში და არ იცის, როგორ უშველოს თავს. გული დარდისაგან უფრო და უფრო ეთანაღრება, და თვალთაგან ცრემლები ნაკადულებრ გადმოსჩქევს.

სწუხს საბრალო აქტეონი, არ იცის სახლში დაბრუნდეს თუ ტყის კალთებს შეაფაროს თავი. საშინელი მდგომარეობაა!

უეცრივ აქტეონმა თვალი მოჰკრა თავის მწვეარ-მეძებრებს. სიხარულისაგან საბრალოს თვალები ეარსკვლავებივით გაუბრწყინდა. ჩემი ერთგული მწვეარ-მეძებრები გამომიხსნიან ესეთს უბედურებისაგანო, გაიფიქრა ირმათ ქცეულმა აქტეონმა და ღმობიერათ მიაპყრო ცრემლიანი თვალები იქითკენ, საიდანაც ყეფა-ყიჟინით მისი მწვეარ-მეძებრები გამალებით მოჰქროლავდნენ.

მოსტყუედა სასრალო აქტეონი. მწვეარ-მეძებრებმა, დაინახეს თუ არა ტყის შუაგულას გაფითრებული ირემი, მორთეს ერთი ვინ ხარ მამაციო. მთელი გროვა მწვეარ-მეძებრებისა დაედევნა ირემს და მთის მიუვალს კლდე-ღრეებში მიიმწყვდიეს ირმათ ქცეული აქტეონი.

საბრალო! იგი თავისი ერთგულის მწვეარ-მეძებრებისაგან მო-

ელოდა ხსნას და შეეღას, და აბა იმას როგორ მოიფიქრებდა, რომ იმათგანეე განსაცდელს ეწეოდა. გააფთრებულმა ძაღლებმა შეიპყრეს საცოდავი ირემი და შეეუბრალებლათ ჩასქიდეს გვერდებში ბასრი კბილები. საბრალო ირემი მწვავე ტკივილებისაგან ოდნავ-ღა სუნთქავდა და მწუხარე თვალების მოძრაობით თითქო ემუღარებოდა თავის მწვეარ-მეძებართ, აბა რას ჩადიხართ, ნუ თუ თქვენს მოჭირნახულე პატრონს ვერა სცნობთ და ასე უდიერთა ექცევითო. მწვეარ-მეძებრებს აქტეონის ხევწნა-ვედრება აინუშშიაც არ მოსდიოდათ, და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ბასრის კბილებით მედგრათ უცარავდენ გვერდებს საცოდავ ირემს.

მწვეარ-მეძებრების ყიფინზე აქტეონის თანამხლებლებიც გარს შემოერტყენ ირემს და ერთი ორათ გაამხნევეს ისედაც გააფთრებული მწვეარ-მეძებარნი. საბრალო აქტეონს გული უკედება, სული ეხუთება, ყველა მის წინააღმდეგ თავ-დავიწყებით ამხედრებულა და სასიკვდილოთაც-კი არ ინდობს.

აქტეონი თვალების მუღარებითი მოძრაობით ღმობიერთ შესთხოვდა თავის მეგობარს თანაამხანაგებს, ნუ გამწირავთ, თქვენი ერთგული ნაცნობ მეგობარი აქტეონი ვარო, მაგრამ ვინ იყო ამ უკანასკნელი სულისკვეთების გამსჯელ-გამომცნობი!

საბრალო კადმის შეილის-შვილმა, მწარე ტკივილებისაგან დაუძლურებულ და დაოსებულმა, ერთი უკანასკნელათ მწუხარეთ გადახედა თავის მეგობრებს მტარეალებს და სამუდამოთ დახუჭა მწუხარებით აღესილი ცრემლიანი თვალები.

ასე სამწუხაროთ გაათავა თავისი სიცოცხლე აქტეონმა მონადირე ქალ-ღმერთის არტემიდას წყალობით.

იმ ადგილას, საცა არტემიდა ქალ-ღმერთის გამოქვაბულია, ფინიკიელებმა აღმართეს შესანიშნავი ძეგლი, რომელიც გამვლელ-გამომვლელს მჭევრმეტყველად მოუთხრობს აქტეონის დაღუპვის ამბავს, და აბა რომელი გამვლელ-გამომვლელი ჩაუვლის გულ-გრილად ამ ძეგლს, რომ თვალთაგან ცრებლების ნაკადული არ წასკდეს.

ა. უემისთაველი.



ფიზიკური გეოგრაფია.

(პროფესორი გეიკისა)

ჰ ა ე რ ი.



I. წისკან შესდგება ჰაეკი.

ოდესაც გარშემო ბუნებას ეუყვირდებით ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჰაერი. ჰაერს ვერა ვხედავთ, მაგრამ სადაც უნდა წავიდეთ ყველგან შეგვხვდება, ვერსად მას ვერ წაუვალთ. იგი ხან ნიავსაგით გეიქიქინებს და ხან კიდევ მძლავრ ქარიშხალსაგით გეიქრის. მაშ რა არის ეს ჰაერი? იგი თუმცა უხილავია, მაგრამ ნივთიერი სხეული კია. ხელს რო იქით აქეთ გაიქნევთ თქვენ გრძნობთ, რომ ხელის მოძრაობას რაღაც წინ ეღობება, ეწინააღმდეგება. მაშასადამე ჰაერი უხილავია, ხოლო მისი გრძნობა-კი შესაძლებელია. ყოველს წუთში ესუნთქავთ და ამოვისუნთქავთ ხოლმე ჰაერს. ვერსად მას ვერ გავე ქცევით ან-კი რანაირად, როცა იგი 200 ვერსის სისქეზე აკრავს დედა მიწას. დედამიწის ჰაეროვან კანს ატმოსფერა ჰქვია.

ჰაერი უბრალო საგანი არ არის: იგი ორი უხილავი გაზისაგან, აზოტისაგან და მჟებადისაგან შესდგება. ამას გარდა ჰაერში კიდევ ბევრი სხვა-და-სხვა ნაწილეზია; ამ ნაწილთა შორის ზოგი ადვილი გასარჩევია, ხილულია, ზოგი კიდევ უხილავი, უჩინარია; აი თქვენ რომ ოთახი ისე დააბნელოთ, რომ მზის სხივმა მხოლოდ ერთს განგებ გამოჭრილი ჯურჯუტანიდან შემოანათოს მაშინ ადვილათ დაინახავთ ჰაერის შემადგენელ ნაწილებს. ეს ნაწილები ასობით და ათასობით ირევიან ჯურჯუტანაში შემოსულ მზის სხივში; ამ შემთხვევაში

იგინი თვალთ გაიჩევიან; სწორეთ ჰაერის ამ უხილავ ნაწილებსა აქეთ დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ორს: წყლის ორთქლს და ნახშირბადის სიმჟავეს.

მართლა და რა არის ეს ორთქლი? დააკვირდით ქვაბში წყლის დუღილს და გაიგებთ რაც არის. ამ დუღილის დროს ქვაბიდან თეთრ ჭველებათ ამოდის ორთქლი; ჭველი მაღლა ჰაერს უერთდება, იქ იმალება; მის მაგივრათ ამოდის მეორე ახალი ჭველი, ისიც ჰაერში იკარგება, მერე მესამე და ასე.. ამასთანავე ხედავთ რომ ქვაბში წყალი თან და თან კლებულობს, თუ არ ჩაუმატეთ იგი სულ ამოშრება და ქვაბი დაცალიერდება. მაშ წყალს რა მოუყვია? ორთქლად იქცა, რასაკვირველია, კი არ გამქრალა და არც დაკარგულა; იგი მხოლოდ წყლიდან, სითხიდან ორთქლათ (გაზათ) გარდაიქმნა; ამნაირად წყლიდან ორთქლი გაჩნდა; ორთქლი ჰაერში გაიფანტა, მას შეუერთდა და ასე გახდა ჩვენთვის უხილავი. მართლაც ჰაერში ყოველთვის არის ცოტა თუ ბევრი ორთქლი, ხოლო მას ჩვენ ვერ ვხედავთ. ეს ორთქლი აჩენს ღრუბედს, ნისლს, წვიმასა და თოვლს. ორთქლი რომ ჰაერიდან გაქრეს დედამიწაზედ მთელი მცენარეულობა განშებოდა და ყოველი სულდგმულის სიცოცხლეც მოიპოზოდა. აი გაითვალისწინეთ თქვენს გარემოში ყოველ დღიური ცვლილება და მაშინ გაიგებთ ორთქლის მნიშვნელობას.

ნახშირბადის სიმჟავეც ჰაერის უხილავი ნაწილია, ჰაერის ყოველს ათ ნაწილზედ ნახშირბადი სიმჟავეისა მხოლოდ ოთხი ნაწილი მოდის. თქვენ გეცოტავებათ ალბათ ეს სიმჟავე, იტყვიით: აგრე მცირე რამე გინდა იყოს და გინდ არაო, რისი მაქნისი იქნებაო. მაგრამ წარმოიდგინეთ იგი სრულიად საკმარისია, რომ დედამიწის მთელი მცენარეულობა ასაზღოოს. ყოველი მცენარის მაგარი ნაწილები ნახშირბადის სიმჟავეისაგან შესდგება. ხოლო როცა მცენარე ხმება (კედება) და შემდეგ ღპება მაშინ ნახშირბადის სიმჟავეც ჰაერს უბრუნდება, მას უერთდება. მეორეს მხრით, მოგვხსნებათ მცენარეები ცხოველებს ასაზრდოებენ, ცხოველების სხეული მცენა-

რეთაგან ზედება, ცხოველები კიდევ ნახშირბადის სიმჭავეს ამ-აისუნ-
 თქვენ ხოლმე. ხოლო როცა ცხოველი კედება, იხრწნება, სიმჭავე
 ისევე ჰაერში გადადის, მას უერთდება. ამნაირად ნახშირბადის სიმჭა-
 ვისაგან არის შეზავებული მცენარეებისა და ცხოველების სხეული.
 კედება ცხოველი და მცენარე და სიმჭავეც ჰაერში გარბის. ერთი
 სიტყვით ჰაერიდან სიმჭავე ცხოველებში და მცენარეულობაში გადა-
 დის და აქედან ისევე ჰაერში.

II. ჭყერის გათბობა და გაცივება.

უხილავე ჰაერიც სხვა ჩვეულებრივ საგანსავით თბება და ცი-
 დება. ჰაერის გათბობას და გაცივებას შემდეგი მაგალითით გაითვალის-
 წინეთ: ზამთრის მყუდრო ამინდში რო გარეთ ჰაერზე განვი-
 დეთ თქვენ შევცივდებით. მერე რა არის ამის მიზეზი? საიდან
 გაჩნდა ეს სიცივე? ჭყერიდან. იგი ცივია და იმიტომაც შევცივდათ.
 იგი თქვენს საკუთარ სითბოსაც გართმევთ, თქვენი სხეულის კანიც
 ევლარას ხდება და აძლევს ჰაერს სითბოს. მეორეს მხრივ ცივ ჰაერ-
 ზედ რამდენიმე ხანი რო დაჰყოთ და შემდეგ თბილ ოთახში შეხვი-
 დეთ მაშინვე სასიამოვნო სითბოს იგრძნობთ. ამ შემთხვევაშიაც
 უხილავემა ჰაერმა გავათბოთ, გასიამოვნათ. ოთახის თბილი ჰაერი
 შემოერტყა თქვენ სხეულს და გაათბო იგი. ამ რიგათ ჰაერი ხან
 ცივია და ხან თბილი, ორივე შემთხვევაში-კი უხილავე. ჰაერის
 მდგომარეობას, ცივია თუ თბილი, ჩვენ ტერმომეტრით (ე. ი. სითბო-
 სიცივის საზომით) ვვებულობთ. მერე რატომაა ჰაერი ხან ცივი და ხან
 თბილი? სითბო საიდან ჩნდება? ვინ ან რა აძლევს ჰაერს სითბოს?
 აი ამის პასუხიც. ზამთარში გარეთ ჰაერი ცივია, სახლში-კი თბილი,
 რადგან სახლს ათბობენ, ბუხარში ცეცხლს აჩალებენ. შემის, ან ნახ-
 შირის დაწვა აჩენს სითბოს, ხოლო ამ სითბოს ჰაერი იკრეფს და
 თვითონაც თბება. ერთი სიტყვით ჰაერი სახლში თბილია, გარეთ-კი
 ცივი და ეს იმიტომ, რომ სახლის ჰაერს, სითბოს დასაწვავი მასალა, შემა

აძლევს. მაგრამ ზოგჯერ გარეთაც ხომ სიბოძა, ნამეტურ ზაფხულში, როცა გარეთ უფრო გვაწუხებს სიცხე ვიდრე სახლში. ეს (სიცხე), სიტბო უზარ მზარი ცეცხლის ბურთიდან, მზისაგან, ეფინება ყველგან და ყოველივეს კეთილი. მხოლოდ ეგ თუ აგრეა, თუ მზე ყოველგან და ყოველივეს ცხოველ მყოფელ სიტბოსა, ჰვენს მაშ ჰაერი ზოგჯერ რაღათ ცივდება ხოლმე? იკითხავთ თქვენ. მაგის პასუხსაც მოგახსენებთ. ესთქვათ ზამთარში განურებულ ბუხარს ეფიცებდით, როგორა გგონიათ, თქვენა და ცეცხლს შორის, რომ მაშინ რამე ჩამოაფართოთ სიტბო არ დაგაკლდებათ? ან და გარეთ მზის სხივებს, რომ ხელი გაუშვიროთ ხელზე არ დაგცხებათ? აბა ახლა მზის სხივებსა და ხელს შორის წიგნი მოათავსეთ, განა მაშინვე ხელის შეგრძობას არ იგრძნობთ? დიხაც ასე მოხდება. წიგნმა აღარ მოუშვა თქვენამდის მზის სხივები, მზისაგან გამოგზავნილმა სიტბომ თქვენამდის ევლარ მოატანა. მაშ იქნება ჰაერი რომ ცივდება მაშინაც რამე აკაებდეს, ჩვენამდის არ უშვებდეს მზის სიტბოს? სწორეთ რომ ასეა. ღრუბლები ელობებიან მზის სხივებს გზაში და ამნაირათ სიტბო ჩვენამდის ევლარ აღწევს. შეამჩნევდით კიდეც მზიან დღეში რომ ცაზედ უეცრათ ღრუბლები გაჩნდება მაშინვე სიგრილესაც ეგრძნობთ, ხოლო პატარა ხანს უკან ღრუბლები რო გაიფანტებიან ისევე უწინდებურ სიცხესაც ეგრძნობთ.

გარდა ამისა რამოდენიმეთ თვით ჰაერი ჰკრეფს მზის სიტბოს; რაც უფრო სქელი ჰაერი აქეს გასაეღელი მზის სხივებს, იმდენათ გზაში მეტ სიტბოს ჰკარგავს. მასთან რაც უფრო აღმაცერათ ეშვება მზის სხივი, იმდენათ მათ სიმძლავრე ეკარგებათ, სუსტდებიან! შუადღისას მაგალითად მზე მაღლაა, თავზე დაგეჩერებია, მზის სხივებიც პირ და პირ ეცემიან დედამიწას; მათ ამ შემთხვევაში მოკლე გზა აქეთ გასაეღელი. ნაშუადღევს, როცა მზე თან და თან თავქვე მიდის, სხივებიც მაშინ უფრო აღმაცერათ ეცემიან დედამიწას, მეტი გზაც უნდა გაიარონ; ამიტომაც შუადღისას უფრო ცხელა ვიდრე დილას ან საღამოს.

ღამით როცა მზე არ ანათებს, მზის სითბოც დედამიწის ღრ-
 ჩდილულ ალაგებს არ ახურებს, პირ-იქით ეს ალაგები კი არ თბებიან,
 გრილდებიან კიდევ; აქედან ჰაეროვან სიერცემში გადადის სითბო,
 ამიტომაც ღამე უფრო ცივა, ვიდრე დღე.

ზაფხულში მზე უფრო მაღლა, პირ-და-პირ დგას, ხოლო ზამთა-
 რში აღამცერთ, ამიტომაც მზე ზაფხულში უფრო უხვად ჰფენს
 დედამიწას სხივებს ვიდრე ზამთარში. ამით ცხადაც სჩანს, რომ სითბოს
 ჩვენ დიდებული მზე გვფენს, ხოლო, როცა ღრუბლები ამ სითბოს
 წინ ეღობებიან სითბო ჩვენამდის ვეღარ აღწევს და ჩვენც სიცივესა
 ვგრძნობთ. მაგრამ ჩვენ რომ მარტო მზისაგან ვთბებოდეთ ჩვენ-
 ზე უსაცოდავესი აღარა იქნებოდა-რა. მარტო მაშინ გვეღირსებოდა
 გათბობა, როცა მზე გამოანათებდა. სხვა დროს, მაგალითად ღრუბ-
 ლიან დღეებში, სიცივე შეგვაწუხებდა, ღამე ხომ ნუ-ღა იკითხავთ,
 გავიყინებოდით. ნამდვილათ-კი, რასავეირველია, ასე არ არის; ღრუ-
 ბლიან დღეებში ხშირათ საკმაოთ თბილა და არც ღამეებია მაინცა
 და მაინც ძალიან ცივი. მაშ საქმე რაშია? მზის სითბო ხომ არსად
 იმალება? დაეუბრუნდეთ ისევ პირველ მაგალითს და იქნება მაშინ
 გავიგოთ საქმის ვითარება. სკამის ზურგი რომ გახურებულ ბუხარს
 მიუშუფიროთ იგი ისე გახურდება რომ ხელს ვეღარ მივაკარებთ.
 შემდეგ რომ სკამი უკან დაეწიოთ ზურგიც მალე გაცივდება. ამნაი-
 რათ სითბოს ერთი ნაწილი სკამის ზურგში გადავიდა, ხოლო შემ-
 დეგ ისევ მოშორდა სკამს. დედამიწაც სწორედ ამნაირათვე თბება.
 დედამიწის ზოგი ნაწილი საკმაოდ ხურდება, უმეტესად ცხელ ქვეყ-
 ნებში, იქ მიწა და ქვები ძალიან მალე ხურდება, ხოლო მალეც
 ცივდება. მზისაგან რომ მიწა გახურდება, მერე მიწას ჰაერი შეეხება
 და თვითონაც თბება და ეს ჰაერი უფრო დიდხანს ინარჩუნებს,
 ინახავს სითბოს, ვიდრე მიწა. ამიტომაც ღამე, მიწა რომ ძალზედ
 ცივდებ, ჰაერი იმავე დროს ისე ცივი არ არის. მეორე მხრივ, როცა
 მიწის ზედა პირი ცივდება, მაშინ მიწა აწლო ჰაერსაც აცივებს.
 მიწა ადვილად იძლევა უკანვე სითბოს, ეს არის მიზეზი, რომ ღამე

აუარებელი სიტბო მიწიდან ზევით, მნათობთა სივრცეში გადადის. ამ უკანასკნელი მიზეზით უფრო მეტი სიტბო დაიკარგებოდა, რომ ჰაერში გაფანტული ორთქლი სიტბოს არ აკავებდეს. ორთქლი რომ ჰაერს გაშორდეს ღამე მაშინ ძალიან ეცივებოდა, რადგან მაწა თავის სიტბოს ზალე ჰკარგავს. ამიტომაც ცხელს ქვეყნებში, სადაც ჰაერი მეტათ მშრალია ე. ი. ცოტა ორთქლია ჰაერში, ღამეები უფრო ცივია, ვიდრე სხვაგან, სადაც ჰაერი ნოტიოა. ამნაირად ღრუბლები აკავებენ მიწიდან წარმავალ სიტბოს; ამის შედეგია რომ ღრუბლიანი ღამე ისე ცივი არ არის, როგორც მოწმენდილი.

III. ორთქლი ჰაერში.

ზემოთა ვსტყვით, რომ ჰაერის შემადგენელ ნაწილთა შორის ორთქლს დიდი მნიშვნელობა აქვს და მართლაც იგია მიზეზი რომ ღამე მიწა ისე მალე არ ჰკარგავს თავის სიტბოს და დღე კიდევ მიწას ნამეტანი განურებისაგან იფარავს. ნისლისაგან კიდევ ბევრი სხვა ბუნების მოვლენა წარმოსდგება. ამათ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. ჯერ ის გავიგოთ, ჰაერში ორთქლი რანაირად ჩნდება და შემდეგ სად იმალება, რა ემართება. თბილ ოთახში, სადაც მთელ დღეს ცეცხლი ენთრ, ჰაერი ხომ მშრალი უნდა იყოს. მაგრამ შეიტანეთ ამ ოთახში სტაქნით ძალზედ ცივი წყალი და დააკვირდით რა მოხდება. სტაქნის გვერდები თხელი ნისლით, ნამით შეიმოსება, პატარა ხანს უკან ამ ნისლიდან მოზდილი წვეთები გაჩნდებიან და ჰიქის გვერდზედ დენას იწყებენ. შეგიმჩნევიათ ისიც* ალბათ, რომ ზამთრობით სახლებში, სადაც ხალხი ბლომათ არის, შიგნიდან ფანჯრები დაფარულია წყლის წვეთებით, თუ მაინც ნოტიოა სახლია მაშინ ფანჯრებზედ პატარ-პატარა ნაკადულებიც მიმომდინარეობენ. ახა ამ შემთხვევაში საიდან გაჩნდა ნამი, წყალი? ჰიქიდან ხომ არ გგონიათ? არა ეს ნამი, წყალი ჰაერში გაფანტული ნისლიდან გაჩნდა. ორთქლი ყოველთვის უხილავია მაშინაც-კი, როცა ჰაერი მითი ძალზედ გაჟღენ-

თილია. იგი მხოლოდ მაშინ დაინახება, როცა ისევ წყლათ გადიქცევა, როცა მისი დანახვა შესაძლებელია ე. ი. როცა იგი ნისლს, ცვარს, წვიმას და თოვლს აჩენს, მაშინ იტყვიან ორთქლი შეიკუმშაო.

თბილ ჰაერში უფრო მეტი ორთქლია ვიდრე ცივში. ამაშიაც ადვილად დარწმუნდებით. ყოველ ამოსუნთქვის დროს თქვენი პირიდან ორთქლი ამოდის, ხოლო თუ თბილია ეს ორთქლი მაშინ უხილავია, ისე გადადის ჰაერში და იმალება რომ ჩვენ მას ვერ დავინახავთ. მაგრამ თქვენ რომ ორთქლი მაშინვე გააცივოთ, როცა პირიდან ამოდის, მაშინ იგი იმ წამსვე შეიკუმშება და დავინახავთ კიდეც თხელ ნისლათ. აბა აიღეთ პატარა სარკე და ზედ დააორთქლოთ—თქვენი ფილტვებიდან ამონადენი ორთქლი მაშინვე სარკეზედ თხელ ნისლათ გაჩდება. მიზეზი ამისი ის გახლავს, რომ ჰაერი ცივ სარკეზე შეხებით ცივდება და რა-კი ცივდება იმდენს ორთქლს ვეღარ იტევს, რამდენსაც წინეთ, როცა თბილი იყო; ამიტომაც ეს მეტი ორთქლი სარკეზე ჩჩება. ზამთარში-კი არ დაგჭირდებათ ამნაირი ცდა. ორთქლს მაშინ ყოველ ამოსუნთქვაზედ ხედავთ; ცივი ჰაერი მაშინვე კუმშავს ორთქლს, რომელსაც ჩვენ ყოველ ამოსუნთქვაზე მსუბუქ-ნისლათა ვხედავთ; რაც უფრო ცივია ჰაერი მით უფრო იგი ცოტა ორთქლს შეიცავს.

ახლა იკითხავთ ეს ორთქლი ჰაერში საიდან გაჩნდაო. აი საიდან: თქვენ რომ თქვამხედ ცოტა წყალი დაასხათ და შემდეგ იგი გარეთ ჰაერზედ გადავთ შეამჩნევთ, რომ ერთი ან ორი დღის შემდეგ წყალმა თვეშხედ დაიკლო. მერე წყალი რა იქნა? რა დავმართა? იგი ჰაერმა შეისვა, სულაც შეყლაპავს თუ თევში დიდხანს გარეთ დატოვებთ. რაც ამ შემთხვევაში წყალს თევშხედ მოუვიდა, იგივე მოუდის საზოგადოთ წყალს დედამიწაზედ, მდინარეებში, ტბებში, ზღვებში და ოკეანეში; წყალი ორთქლათ იქცევა, ორთქლი ჰაერში გადადის, ჰაერი ისევს, იკრეფს ორთქლს.

რადგან თბილ ჰაერში უფრო მეტი ორთქლია ვიდრე ცივში



ამიტომაც მზიან დღეებში უფრო მეტი ორთქლი ადის მიწიდან ვიდრე ღრუბლიან დღეებში, ზაფხულში უფრო მეტი ვიდრე ზამთარში. მართლაც და სველი, ტალახიანი გზები როდის უფრო მალე შრებიან? მზიან დღეში ერთი ან ორი საათი საკმარისია გზა გაშრეს, გახმეს კიდევ. ხოლო ცივ, ნესტიან ამინდში გზა რამდენსამე დღესაც არ შრება. პირველ შემთხვევაში ჰაერი მეტს ორთქლს ჰკრეფს, ხოლო მეორეში უფრო ნაკლებს. ამას გარდა მშრალ, ქარიან დღეში აორთქელა უფრო სწრაფათ ხდება, რადგან ჰაერში ცოტა ორთქლია, ხოლო ნაკლი-კი უსათუოდ უნდა შეივსო. პირიქით ნესტიან ამინდში, როცა ჰაერი ისედაც ორთქლით გაქვნილია, აორთქელა სუსტათ ან სულ არ ხდება. ამნაირათ ორთქლი ჰაერში ხან ცოტაა ხან ბევრი და ეს არის მიზეზი, რომ მრეცხაეებს ხან მალე უშრებათ სარეცხი ხან გვიან. მზიან ქარიან დღეში ჰაერი ბევრ ორთქლს იკრეფს, მაშინ სარეცხიც მალე შრება. ცივს, ნესტიან ამინდში ჰაერი ორთქლით გამაძღარია, მეტს აღარ საჭიროებს, სარეცხიც მაშინ გვიან შრება; დილას გაფენილი საღამოზედაც სველია. წყალი რომ ორთქლათ ადის ორთქლს თან სითბოც მიაქვს; ერთი წვეთი წყალი რომ ხელის გულზედ მოათავსოთ და იმის აორთქელას დაუყვირდეთ, შეამჩნევთ რომ წვეთი ორთქლად იქცევა, ხოლო თქვენ ცოტა სიცივესაც იგრძნობთ ხელის გულზე და ეს იმიტომ, რომ წყალი ორთქლათ ადის, თქვენს კანს სითბოს ართმევს და თან მიაქვს.

ამნაირათ თქვენ რწმუნდებით, რომ ჰაერში უჩინარი წყლის ორთქლია. იგი ცოტაა შედარებით აზოტთან და მჟავბადთან, ხოლო საზოგადოთ-კი ბევრია. სწავლულების გამოანგარიშებით, რაც ერთი წლის განმავლობაში მიწიდან ორთქლი აფა სულ რომ შეიკუმშოს ე. ი. წყლათ იქცეს, ეს წყალი ვერსტ ნახევარ სიღრმეზე მთელ კავკასის ტოლა ალაგს დაფარავდა.





ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(ადგებუქანული).

ცხენის სიკვდილი ძაღლის ღღესასწაულიაო.

სიცოცხლე ცეცხლს მიაგავს: მისი დასაწყისი ალია
და დასასრული ნაცარი.

(წაჭმოდგენილი გოტე სენსაშვილისაგან).

აშეგებული ძაღლი პატრონის შემნახველსა ჰგავს დაბ-
მული დამნაშავესაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წაჭმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

იმისთანა ალაგს ედგევირ,
რომ კაცის ხელს ვერ აეცდები,
გაიელის თუ გამოიელის
ამხანაგსაფით აეყვები,
გავაცულ-გამოვაცილე
ისევ ბინაზე დაედგები.

ფეხები მაქვს—თავი არა,
ზურგი მაქვს და პირი არა.

(წამოდგენილი სოფ. ვაშაძისგან).

ბოლოზე ხელი მომავლეს,
კლავზე დამადგეს ფეხიო,
პირით მიწა მათხრევენეს
მე ამას არა ვკვებო.

ზ მ ა.

(წამოდგენილი მისგანვე).

გოგო რისთვის ხარ მოწყენით,
სამცხე თათრისა გგონია?
ჩქარა გვიამბე თუ რამე
აწყურით გაგიგონია.

უჯრების ამოცანა.

(წამოდგენილი მისგანვე).

ამ უჯრებში ჩასწერეთ შემდეგი სიტყ-
ვები ისე, რომ გამოვიდეს წინა რიგში ზე-
ვიდან ქვევით პირველი ასოების ჩამოკითხ-
ვით ჩვენი სახელოვანი მგოსნის სახელი:

- 1) დალისტნის გმირი
- 2) ერთ ერთი ერის წოდება
- 3) ქალაქი კახეთში
- 4) მდინარე საქართველოში.

შ ა რ ა დ ა.

(შედგენილი სოფ. გოშაძისგან).

თავის ნაწილი მონახე,
 ორს ჰპოვებ ერთის ნაცულათა,
 სულ ბოლო ასო წაჭვლიჯე
 სამი დარჩება ნათლათა.
 მეორე სიტყვა მრავლობით
 ნიშნავს ყოველთვის შვილებსა
 მთელი ხილის ნაყოფია
 მარცვლებსა ისხავს ტკბილებსა.

ჩქარა გამოსათქმელი.

უთაქალთოვო ცხენს თაქალთოს დაეადგამ და დაეთაქალთოვებ.

ა ს ს ნ ა

ოქტომბრის ყურნალ „ჯეჯილის“ გამოცანებისა.

გამოცანა: ქარი.

ზმა: წერაქვი, ერი, ნამგალი, თოხი ბარი.

შარადა: ლომი.

სიტყვების ამოცანა: ქარი, არწივი, სეფი, ყვავი, ლომი,
 მელია, ღორი, წავი.

რებუსი: გულით ეუსურვოთ კურთხეულს
 ჩვენს ენას გაგრცვლებო,
 ძმობის გვირგვინი ქართველსა
 და მამულს აყვავებო.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუბანიშვილი-წერეთლისა.



საქმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი პეტსუთმეტე

ჯამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილება: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილი“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანერიდან დაიწყება ბეკდვა ინგლისელ მწერლის მარკ-ტენის მოთხრობისა: ტახტის მემკვიდრე და მათხომარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურეგდებათ პრემიათ დასურხათებული წლანაწების კრებული.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისის გარეშე გაგზავნიით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თფით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джѣджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წყრეთლისა.

[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]